ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 17 ნოემბერი, 2015 №270 (6890) ფასი: 50 თეთრი

„მარგველაშვილს და ივანიშვილს ურთიერთქიშპობა დააზარალებს“

გვ.4

ირაკლი სესიაშვილი: „ისლამურმა სახელმწიფომ ევროპაში მეორე ფრონტი გახსნა“

გვ.3

„ევროპა შეცდა, როდესაც ლტოლვილები მათი პიროვნების გადამოწმების გარეშე მიიღო“

„საჰაერო დაბომბვებით ტერორისტებს ვერ დაამარცხებ“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „პარიზის ტერაქტებმა რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი“

ადა მარშანია: „დავიხოცებით, მაგრამ ბრძოლას არ შევწყვეტთ!“

გვ.2

მოშიმშილეების ნაწილს სამედიცინო დახმარება დასჭირდა

ალ-ღარიბ ალჟირელი: „ამერიკას ცენტრში დავარტყამთ“

ისლამური სახელმწიფო ვაშინგტონს ტერაქტებით ემუქრება

16 ნოემბერს ისლამისტებმა ახალი ვიდეორგოლი გაავრცელეს, სადაც აცხადებენ, რომ სირიის დაბომბვაში მონაწილე ყველა ქვეყანა საფრანგეთის ბედს გაიზიარებს.

ვიდეორგოლში შესაბამის განცხადებას ისლამური სახელმწიფოს წევრი ალ-ღარიბ ალ-ჟირელი აკეთებს.

– ჩვენ ვეუბნებით ყველა ქვეყანას, რომელიც ჯვაროსნულ კამპანიაში მონაწილეობს – ღმერთის ნებით, თქვენ საფრანგეთის ბედს გაიზიარებთ. როგორც საფრანგეთს მის ცენტრში, პარიზში დავარტყით, ვფიცავთ, რომ ამერიკას მის ცენტრში, ვაშინგტონში დავარტყამთ, – აცხადებს ისლამისტი.

მისი თქმით, ევროპაში მალე ახალი ტერაქტები განხორციელდება.

– მინდა ვუთხრა ევროპულ ქვეყნებს – ჩვენ მოვდივართ. ჩვენს შეჩერებას ვერ შეძლებთ, რადგან დღეს გაცილებით უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე ოდესმე, – აცხადებს ისლამური სახელმწიფოს წევრი.

ვიდეორგოლში სიტყვით გამოდის კიდევ ერთი ისლამისტი, სახელად ალ-კარარ ერაყელი, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტს, ფრანსუა ოლანდს მიმართავს.

– გადავწყვიტეთ, სანგრებში გესაუბროთ და არა სასტუმროებში, – აცხადებს ის.

სააგენტო როიტერი აღნიშნავს, რომ ვიდეომასალის აუთენტურების გადამოწმება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

გვ.2

„დავით უსუფაშვილმა ამერიკაში დავალება მიიღო“

ელიზბარ ჯაველიძე: „თუ ივანიშვილი რესპუბლიკელებს არ მოიცილებს, რეიტინგს საბოლოოდ დაკარგავს“

ISSN 1987-9385

გიორგი თავდგირიძე: „ნატო ყველაფერში გვეხმარება“

გვ.5

„ფართოვდება წრე, რომელიც მხარს გვიჭერს ნატოში გაწევრიანებაში“

ადა მარშანია: „დავიხოცებით, მაგრამ ბრძოლას არ შევწყვეტთ!“

მოშიმშილეების ნაწილს სამედიცინო დახმარება დასჭირდა

შორენა მარსაგიშვილი

მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ პატრიოტთა ალიანსის წევრები შიმშილობის აქციას აგრძელებენ. აქციის მე-9 დღეს მოშიმშილეთა რაოდენობა ასამდე გაიზარდა. მოშიმშილეთაგან 20 ქალია. მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ისინი შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ.

როგორია მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რას ითხოვენ სახალხო დამცველისგან, როდემდე აპირებენ ბრძოლას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, მოშიმშილე ადა მარშანია ესაუბრება.

ადა მარშანია:

– უკვე მეცხრე დღეა, რაც შიმშილობის აქცია მიმდინარეობს. მოშიმშილეები ძალიან გადაიღალნენ და სუსტად გრძნობენ თავს. მოგეხსენებათ, კარვის დადგმის უფლებას ისევ არ გვაძლევენ, ღამე აქ ძალიან ცივა. ეს ოხერი სიცივე ძვალსა და რბილში გაგვიჯდა. შიმშილზე მეტად სიცივემ დაგვასუსტა. კარავი რომ გვქონოდა, ბევრად უკეთ ვიქნებოდით. რამდენიმე ჩვენგანს სამედიცინო დახმარებაც დასჭირდა. შიმშილობის აქციის პირველი შედეგები უკვე გამოჩნდა.

– ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საავადმყოფოში თუ გადაიყვანეს ვინმე?

– რამდენიმე ჩვენს თანამებრძოლს არითმია დაემართა. ზოგს წნევამ აუწია, ზოგსაც დაუწია. საბედნიეროდ, მათი საავადმყოფოში გადაყვანა არ გამხდარა საჭირო. ჩვენ მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩაფიძის კლინიკამ. მისმა ექიმებმა მოშიმშილეების ნაწილი გადასხმაზე წაიყვანეს, სადაც ჩაუტარეს სამედიცინო გამოკვლევები.

– ხელისუფლება ისევ იგნორირებას უკეთებს აქციას თუ გამოგეხმაურათ ვინმე?

– დიმიტრი ხუნდაძის გარდა, არავინ მოსულა ჩვენთან. ამისთვის მას მინდა დიდი მადლობა ვუთხრა. ბატონი დიმიტრის წასვლის შემდეგ აქ უმალ გაჩნდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა. როგორც კი მივმართავთ, ეგრევე აქ ჩნდებიან. მთელი ღამე აქ არიან ჩვენთან, ადგილიდან არ იძვრიან.

მათი დახმარება მომავალში კიდევ უფრო საჭირო გახდება, ხალხი ძალიან დასუსტდა. ერთ-ერთ ჩვენს მოშიმშილეს მათ გლუკოზა გაუკეთეს. ამ ადამიანს წნევა და გემოგლობინი ძალიან დაუვარდა.

– მოშიმშილეების მდგომარეობის გაუარესების გამო ხომ არ შეწყდება აქცია?

– არა, ჩვენ შიმშილი ვერ გაგვტეხს. პირიქით, აქციის მონაწილეთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. 16 ნოემბრის მონაცემებით, 100-მდე ადამიანი ვშიმშილობთ. აქედან 20 არის ქალი. შიმშილობა დაიწყეს ჩვენმა ზუგდიდელმა მეგობრებმაც.

ამ შიმშილობამ უკვე გამოიღო შედეგი და ჩვენს მხარდასაჭერად სტუდენტები მოვიდნენ. სტუდენტების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

– შიმშილობის აქციას შეუერთდნენ?

– ჯერ არ ვიცით, შემოუერთდებიან თუ არა, მთავარი ისაა, რომ ჩვენ მხარდასაჭერად მოვიდნენ.

– სახალხო დამცველი თუ გამოჩნდა თქვენთან ან არასამთავრობოები თუ მოვიდნენ?

– რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ მოგვკითხა, ისინი ყოველდღე მოდიან. ის არასამთავრობოები, რომლებიც ყველაფერზე თავის აზრებს აფრქვევენ, აქ არ გამოჩენილან.

სახალხო დამცველმა შიმშილობის მესამე დღეს გამოგვიგზავნა თავისი თანამშრომელი. ძალიან ახალგაზრდა გოგო იყო, მან გვკითხა, რა პრობლემები გვქონდა. რაღაცები ჩაინიშნა და წავიდა. ამის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატიდან არავინ გამოჩენილა.

ახლა მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო უჩა ნანუაშვილს. ბატონო უჩა, სახალხო დამცველად და ომბუდსმენად რომ იწოდებით, არ გრცხვენიათ, ასე რომ იქცევით? განა არ იცით, რომ მოშიმშილეების გვერდით უნდა დადგეთ? თან იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, რა ვითარებაში გვიწევს შიმშილობა.

– მის ასეთ დამოკიდებულებას რითი ხსნით?

– არ ვიცი, ამაზე თავად მას ექნება პასუხი. ცდილობს, არ შეგვიმჩნიოს. იგივეს აკეთებენ ტელევიზიები. ჩვენს შიმშილობას მეათე ან მეოცე სიუჟეტად უშვებენ, ისიც რამდენიმე წამით, ისე იქცევიან, თითქოს არაფერი ხდება. არადა, ძალიან მაგარი რამე ხდება. ასეთი რამე ეროვნული მოძრაობის შემდეგ აღარ მომხდარა. ამდენი ადამიანი საშიმშილოდ მხოლოდ იმ პერიოდში გავდიოდით.

ბრძოლა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ არჩევნების გაყალბებას ვაპროტესტებთ. ეს ყველა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. საქართველოში თუ ნორმალური არჩევნები არ ჩატარდა, სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ.

– ხელისუფლება თქვენი მოთხოვნების შესრულებას არ აპირებს და როდემდე აპირებთ აქციის გაგრძელებას?

– მანამდე ვიქნებით აქ, სანამ ხელისუფლება ჩვენს მოთხოვნებს არ შეასრულებს. ვიღაცებს იმედი აქვთ, რომ დავიღლებით და წავალთ. ვისაც ასე გგონიათ, ტყუილად გაქვთ რამის იმედი, იცოდეთ, დავიხოცებით და ბრძოლას არ შევწყვეტთ. ნორმალური ქვეყანა თუ გვინდა, ნორმალური არჩევნები უნდა ჩავატაროთ. ამისთვის ბრძოლა აუცილებელია. ჩვენ დავიწყეთ ეს ბრძოლა და ბოლომდე მივიყვანთ.

ელიზბარ ჯაველიძე: „თუ ივანიშვილი რესპუბლიკელებს არ მოიცილებს, რეიტინგს საბოლოოდ დაკარგავს“

„დავით უსუფაშვილმა ამერიკაში დავალება მიიღო“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ წავიდა ამერიკაში უსუფაშვილი, რა უნდა გაითვალისწინოს ივანიშვილმა, ვის შეუტრიალდება ცუდად მოშიმშილეთა აქციის იგნორირება, რა დაამტკიცა შუალედურმა არჩევნებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.

ელიზბარ ჯაველიძე:

– 31 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ბევრი არაფერი შეიცვლებოდა, თუ პარლამენტში ჩვენი შავგვრემანი, მერცხალივით გოგო ირმა ინაშვილი შევიდოდა. ჩემთვის ეს არჩევნები სხვა რამით იყო მნიშვნელოვანი. ეს იყო ტესტი იმისა, თუ როგორ ჩატარდება მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნები. შედეგებით შეშფოთებული ვარ. საბედნიეროდ, ისეთი გაყალბება არ მომხდარა, როგორც ეს ნაციონალების დროს ხდებოდა, მაგრამ არჩევნები მაინც გაყალბდა.

– თვლით, რომ ხელისუფლება მომავალ არჩევნებს გააყალბებს?

– ხელისუფლებას არჩევნები არ გაუყალბებია, ამაში მას დანაშაული არ მიუძღვის. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ სხვა ცოდვა ადევს კისერზე. მმართველი გუნდი იმაშია დამნაშავე, რომ ქართული არმია ჩააბარა უსუფაშვილის კნეინას. ის იმდენად შორს წავიდა, რომ ჯარი არ იკმარა და საარჩევნო ბრძოლაშიც ჩაერია.

– თინა ხიდაშელი ამბობს, რომ მას კანონი არ დაურღვევია.

– აბა რას ელოდით მისგან, იტყოდა, არჩევნები გავაყალბეო? აიყოლია ნაპროკურორალი რესპუბლიკელი გიგლა აგულაშვილი და საკუთარ კანდიდატს გაამარჯვებინეს. აგულაშვილსაც და ხიდაშელ თინასაც საგარეჯო შეჭმული აქვთ და ხალხს მათი კანდიდატისთვის ხმა არ მიუცია. ახლა პროკურატურამ უნდა გაარკვიოს, როგორ გახდა ქალბატონი თამარ ხიდაშელი დეპუტატი. საერთაშორისო ორგანიზაციებს აუცილებლად უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათმა საყვარელმა რესპუბლიკელებმა არჩევნები გააყალბეს.

– არჩევნები თუ გაყალბდა, ამაზე მთელმა ხელისუფლებამ არ უნდა აგოს პასუხი? რესპუბლიკური პარტია ხომ მმართველი კოალიციის წევრია.

– კოალიციაში კი შედიან, მაგრამ ამ არჩევნებში კოალიციის დანარჩენი სუბიექტები არ ჩარეულან. ამაზე თავად ირმა ინაშვილი და მისი თანამოაზრეებიც ხმამაღლა აცხადებენ. ისინი შიმშილობენ და კონკრეტული თანამდებობის პირების გადადგომას ითხოვენ. ეს კონკრეტული პირები რესპუბლიკელი მინისტრები არიან. პატრიოტთა ალიანსი სახელმწიფოებრივად იქცევა, როცა უშუალო დამნაშავეებს ადებს ხელს და მთელ ხელისუფლებას არ ადანაშაულებს.

არჩევნების გაყალბებაზე პასუხი ნაციონალების კადრს, თამარ ჟვანიას უნდა მოვთხოვოთ. ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე, ბოდიში მომითხოვია და ამ არჩევნებზე ძალიან ტუტუცურად მსჯელობს. ჩაჯდა თბილ სავარძელში და თავი თამარ დედოფალი ჰგონია. ამ ადამიანს არჩევნების გაყალბების გამო პასუხი თუ არ მოვთხოვეთ, მისი შემცველელიც ასევე მოიქცევა. თავის დროზე ცესკოს თავმჯდომარეებისთვის რომ მოგვეთხოვა პასუხი, ქალბატონი ჟვანია ასე არ ილაპარაკებდა. ყველას კარგად გვახსოვს, რას სჩადიოდა ლევან თარხნიშვილი არჩევნებზე. იმის მაგივრად, რომ პასუხი ეგებინებინათ, პარლამენტში წამოსვეს.

– ზემოთ თქვით, რომ ინაშვილი მთელ ხელისუფლებას გაყალბებაში არ ადანაშაულებს. ეს ხელისუფლება მოშიმშილეთა აქციას იგნორირებას რომ უკეთებს, ამაზე რას იტყვით?

– ეს ძალიან ცუდი ფაქტია. ასეთი დამოკიდებულება მოშიმშილეების მიმართ ხალხის მხარდაჭერას უფრო ზრდის. ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს, თორემ მეც მათ გვერდით დავჯდებოდი. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება პოზიციას შეცვლის და მოშიმშილეებს ყურადღებას მიაქცევს. მათ ამის გაკეთებას კანონიც ავალდებულებს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ამ ამბავს რესპუბლიკელები ცუდად შეუტრიალებენ „ქართულ ოცნებას“.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

კარგად მახსოვს, რა საშინელ დღეში ვარდებოდა ხოლმე ჯუმბერ პატიაშვილი, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია შიმშილობას თუ გამოაცხადებდნენ. ცეკას მდივანი ისე წუხდებოდა, ადგილს ვერ პოულობდა. მოშიმშილეებთან მეც გავუგზავნივარ. ეხვეწებოდა, ოღონდ შიმშილობა შეწყვიტეთ და თქვენს ყველა მოთხოვნას შევასრულებო

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თორნიკე შარაშენიძე: „პარიზის ტერაქტებმა რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი“

„საჰაერო დაბომბვებით ტერორისტებს ვერ დაამარცხებ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ რუსეთი და მისი პრეზიდენტი პუტინი პარიზში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს სათავისოდ იყენებენ.

თორნიკე შარაშენიძე:

– ევროპა დილემის წინაშე დადგა, მიეღო თუ არა ლტოლვილები ახლო აღმოსავლეთიდან. ლტოლვილების მიღება თავისთავად საფრთხის შემცველი იყო. არმიღება კი იმას ნიშნავდა, რომ ევროპა თავის ფასეულობებზე უარს ამბობდა. ცხადია, რომ ევროპაში ტერორისტები შეყვნენ ლტოლვილებს.

– თუმცა, ერთ-ერთი ტერორისტი საფრანგეთის მოქალაქეა.

– საფრანგეთი ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე მეტი მუსლიმანი ცხოვრობს მთელს ევროპაში. საფრანგეთს ყოველთვის ჰქონდა ღია პოლიტიკა ამ მიმართულებით. ისინი არიან საფრანგეთის მოქალაქეები, მაგრამ კავშირები აქვთ ტერორისტებთან, მეტიც, ე.წ. ისლამურ სახელმწიფოსთან.

მას შემდეგ, რაც პარიზში ტერაქტი მოხდა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჰაერო იერიშები მიეტანა ისლამურ სახელმწიფოზე. თუმცა, მხოლოდ საჰაერო დაბომბვებით შეუძლებელი იქნება მიზნის მიღწევა. საჭირო არის სახმელეთო ოპერაცია.

– ევროკავშირი შეცვლის ტაქტიკას?

– ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რომ ევროკავშირმა ტაქტიკა შეცვალოს, არამედ ის, რომ პრიორიტეტები შეცვალოს. მეტი რესურსი, მეტი თანხა უნდა გამოიყოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. უნდა მიხვდეს ევროპა, რომ გლობალიზაციის ეპოქაში დანარჩენი სამყარო იზოლირებული ვერ იქნება. ევროპაში არის თავისუფლება, მაგრამ უსაფრთხოებისთვის მას ფულის გადახდა მოუწევს.

– ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ სირიაში ასადის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლამ გააძლიერა ტერორისტები, რომლებიც ძალაუფლების ხელში აღებას აპირებენ.

– ასადი მხოლოდ იმით არის უკეთესი მათზე, რომ აცვია პიჯაკი და გამართულად საუბრობს უცხო ენაზე. ასადი შეიძლება ევროპაში არ აწყობდეს ტერორისტულ აქტებს, მაგრამ ის თავის მოსახლეობას ნამდვილად უწყობს ტერორს. რეალურად ასადის მოქმედებებმა გამოიწვია ისლამური სახელმწიფოს გაჩენა. ერთმა ძალადობამ შვა მეორე ძალადობა.

ახლა პროცესები ჩიხშია შესული, დასავლეთმა რეალურად უნდა გააცნობიეროს ეს ყველაფერი, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესები შეიძლება იმდენად უმართავი გახდეს, რომ მერე უკვე ძალიან გვიან იყოს.

– მთელ ამ პროცესებში როგორია რუსეთის როლი? აშშ და რუსეთი ტერორიზმის წინააღმდეგ თანამშრომლობას აპირებენ. ამ ყველაფერმა რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი?

– სწორედაც რომ ასეა. პუტინის მიზანი ეს არის, რომ ის არ იყოს იგნორირებული, პირიქით, მისი მთავარი ამოცანაა, იდგეს ამერიკის შეერთებული შტატების გვერდით, როგორც ტოლი. პუტინის მიზანია, რომ ზესახელმწიფოების კლუბში დაბრუნდეს. რუსეთმა ნაწილობრივ მიაღწია თავის მიზანს. ძალადობა გადავიდა ევროპის ტერიტორიაზე და ახლა ევროპელები დაფიქრდებიან იმაზე, რომ ხომ არ გაერთიანდნენ რუსეთთან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ეს არის ზუსტად ის, რაც პუტინს უნდოდა.

– უნდა გადაიხედოს თუ არა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია?

– კონცეფცია იმდენად არა, რამდენადაც სამართალდამცავ და სპეცსამსახურებს მოუწევთ მეტი მობილიზება და მეტი ყურადღება. თუ ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები ძლიერები იქნებიან, მაშინ აქ ტერაქტს არავინ მოაწყობს, რადგან მათ ურჩევნიათ, რომ ტერორისტული აქტები მოაწყონ ისეთ მეგაპოლისებში, როგორიც, მაგალითად, პარიზია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქ მეტი ეფექტი ექნება, თბილისზე არ დაიხარჯებიან.

– კონკრეტული ნაბიჯი რა უნდა იყოს, უფრო უსაფრთხოდ რომ ვიგრძნოთ თავი – მეტი დაფინანსება გამოეყოს სპეცსამსახურებს თუ რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

– პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსები. უნდა მოხდეს პროფესიონალი კადრების შენარჩუნება და მათი გამოზრდა. დაფინანსება სერიოზული აქვს უსაფრთხოების სამსახურს, მაგრამ დაფინანსებაზე უფრო მნიშვნელოვანია პროფესიონალი კადრები. თუ მათ არ გავუფრთხილდებით, თუ არ შევუქმნით კარგ სამუშაო პირობებს, მაშინ ძალიან რთული იქნება.

ირაკლი სესიაშვილი: „ისლამურმა სახელმწიფომ ევროპაში მეორე ფრონტი გახსნა“

ნონა ცაბაძე

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ ისლამურმა სახელმწიფომ გახსნა მეორე ფრონტი.

– ფაქტობრივად, დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ტერორიზმის ორ კერასთან და არა უკვე მხოლოდ ერთთან. აქამდე ეს იყო მხოლოდ სირიაში. ცივილიზებული სამყარო მეტ-ნაკლებად დაცული იყო.

– ახლა რა შეიცვალა?

– ახლა უკვე ფრონტის ხაზი გადმოვიდა ევროპაში. ეს მოსალოდნელიც იყო და ბევრი ექსპერტი ამაზე საუბრობდა.

– რომ ტერაქტები გარდაუვალი იყო?

– დიახ. ლტოლვილთა ნაკადს შეყვნენ ტერორისტებიც. დღეს მათი გამოცხრილვა და გამოაშკარავება ძალიან გაუჭირდება ევროპას.

– არ იყო შესაძლებელი ამ რისკების თავიდან აცილება? მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები?

– ევროპამ ტაქტიკურ დონეზე შეცდომა დაუშვა, როდესაც ლტოლვილები, მათი პიროვნების გადამოწმების გარეშე, ერთპიროვნულად მიიღო. ქაოტურად მიიღეს, თორემ ლტოლვილებს თუ მიიღებ ნორმალურად და შეეცდები, რომ მათი პიროვნებები დაადგინო, ამ შემთხვევაში კიდევ შესაძლებელია, დაცული იყო.

– ეს რატომ არ გაითვალისწინეს?

– რა ფორმითაც მიაწყდა ნაკადი და როგორც მიიღეს, ამ მოკლე ვადაში ძალიან რთული იყო ამის გათვალისწინება. როგორც ჩანს, ამით ისარგებლეს ტერორისტებმა და ეს ტერორისტული აქტიც მოაწყვეს.

– გამოდის, რომ საფრთხე კვლავ დიდია და ტერორისტები კვლავაც მრავლად არიან ევროპაში?

– რა თქმა უნდა, საფრთხე დიდია. შესაძლებელია, რომ იქ რამდენიმე ჯგუფია შეღწეული. ეს ნიშნავს, რომ საერთოდ არ იყვნენ კოორდინაციაში და დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ეს კიდევ უფრო ზრდის რისკებს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თუ, ვთქვათ, ბენ ლადენის დროს ტერორისტული მოქმედებები ასე თუ ისე კავშირში იყო ბენ ლადენთან, დღეს შეიძლება სხვადასხვა ჯგუფები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და ქაოტურადაც.

– მათთან ბრძოლა გაცილებით რთულია?

– რა თქმა უნდა. მათთან ბრძოლა ძალიან გაძნელდება. ეს არის უხილავი მტერი, რომელიც არ ჩანს და რომელმაც ნებისმიერ დროს შეიძლება თავი იჩინოს. გარდა ამისა, საფრანგეთში განხორციელებული ტერაქტი გვიჩვენებს, რომ ასეთ მოქმედებებში ერთვებიან ევროპის ქვეყნების მოქალაქეები.

– ანუ?

– ანუ ტერორისტებს გარკვეული დასაყრდენები უკვე აქვთ, რაც კიდევ უფრო ართულებს საქმეს, რადგან მათი გამოხშირვა ძალიან ძნელი იქნება. მაგალითს გეტყვით – მარტო გერმანიიდან 21 წლამდე დაახლოებით 200 გოგონაა წასული ისლამურ სახელმწიფოში საბრძოლველად. ძირითადად ქრისტიანები. წარმოიდგინეთ, რამდენს შეიძლებოდა სურვილი ჰქონოდა და ვეღარ წავიდა. ისინი პოტენციური მოკავშირეები არიან ასეთი ჯგუფების.

– რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მათთან საბრძოლველად?

– მართალია, ევროპა, ამერიკა, ცივილიზებული სამყარო ერთიანდებიან ტერორიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი ტერორისტული აქტები ასეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს გარკვეულწილად ათამამებს კიდეც. ძალიან რთული იქნება მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

– რა უნდა იყოს საპირისპირო მოქმედებები ცივილიზებული სამყაროს მხრიდან?

– ამის საპირისპიროდ უნდა მოხდეს ცივილიზებული სამყაროს კონსოლიდირებული მოქმედება და გარკვეულ წესებზე შეთანხმება. ასევე ერთიანი ანტიტერორისტული ცენტრის ჩამოყალიბება. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ისეთ გლობალურ გამოწვევასთან გამკლავება, რაც ამ ისლამური სახელმწიფოსგან მოდის.

ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ სირიის პრობლემის მოგვარება უფრო შეიძლება, ვიდრე იმ სიტუაციის, რაც დღეს ევროპაშია შექმნილი.

– ეს როგორ?

– სირია ლოკალური პრობლემაა, შეიძლება იქ ქურთებთან გამოინახოს საერთო ენა, ოპოზიციასთან და რაღაც ერთიანი ძალისხმევით მსოფლიომ დარტყმა მიაყენოს ისლამურ სახელმწიფოს, მაგრამ ფრონტის ხაზმა უკვე გადმოიწია ევროპაში და აქ უკვე საზღვარი არ ჩანს. ეს ლოკალური აღარ არის, ის არის ძალიან დიდ ტერიტორიაზე გაშლილი.

– ამ სიტუაციაში რა საფრთხის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა? ბრძანეთ, რომ გერმანიიდან საბრძოლველად არიან წასულები. ჩვენი ქვეყნიდანაც ხომ მიდიან სირიაში საბრძოლველად?

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნიდან ძალიან ცოტა ადამიანია წასული. სულ რამდენიმე ათეული, რომელთა დიდი ნაწილი 2012 წლამდეა წასული და ისინი, როგორც ჩანს, არ აპირებენ უკან დაბრუნებას.

ჩვენ კანონმდებლობაში შევიტანეთ ცვლილებები და დასჯადი გავხადეთ ეს ქმედება. ასე რომ, თუ დაბრუნდებიან, მათ პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. მეტსაც გეტყვით – მონაწილეობა კი არა, გამგზავრებაც დასჯადი გავხადეთ.

მეორე და მთავარი – ტერორიზმთან ბრძოლა ის საკითხია, სადაც მარტო მოქმედება სრულიად არაეფექტიანია.

გიორგი მარგველაშვილი: „ტერორიზმი და ვანდალიზმი არ ასოცირდება რელიგიასთან და ისლამთან“

– ჩემთვის ტერორიზმი და ვანდალიზმი არანაირად არ ასოცირდება რელიგიასთან და ისლამთან, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ავლაბრის სასახლეში, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე შეფასებით, საფრანგეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების ფონზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიომ შეძლოს გაერთიანება, რათა აგრესიას და ტერორს ძალიან ძლიერად უპასუხოს.

გიორგი მარგველაშვილი:

– დღეს ალბათ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი აქ ერთად ყოფნა და ერთად დგომა იმ ღირებულებების განსამტკიცებლად, რასაც ტოლერანტობა ჰქვია.

ჩვენ, მთელმა კაცობრიობამ, სამყაროს მთელმა ცივილიზებულმა ნაწილმა ამ დღეებში სწორედ ტოლერანტობის თვალსაზრისით მივიღეთ გამოძახილი.

საფრანგეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების ფონზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ შევძლოთ გავერთიანდეთ და ძალიან ძლიერად ვუპასუხოთ აგრესიას, ტერორს.

ეს კი უნდა მოხდეს იმით, რომ არასდროს შეიბღალოს ჩვენში ტოლერანტობის სულისკვეთება – ტერორი არასდროს არ შეგვცვლის ჩვენ და არ გაგვხდის განსხვავებულის მიუღებლებად.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩემთვის არც ტერორიზმი, არც ვანდალიზმი, არანაირად არ ასოცირდება რელიგიასთან და ისლამთან. მიუხედავად იმისა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც თავის თავს მუსლიმებს ეძახიან და ამ დროშით ცდილობენ ტერორის დათესვას.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ისლამი ჩემთვის არ ასოცირდება იმ საშინელებებთან, რაც ხდება სირიაში, სხვა ქვეყნებში და რაც მოხდა საფრანგეთში.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„მარგველაშვილს და ივანიშვილს ურთიერთქიშპობა დააზარალებს“

ნონა ცაბაძე

პრეზიდენტისა და ყოფილი პრემიერის ურთიერთობა პერიოდულად იძაბება. ივანიშვილი მარგველაშვილს ემუქრება, რომ მას აუცილებლად გამოასახლებს პრეზიდენტის სასახლიდან.

ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ივანიშვილის პოზიციის გაგება ადამიანურად შეიძლება.

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ივანიშვილი იყო პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის ავტორი, ადამიანურად ივანიშვილის პოზიციის გაგება შეიძლება, – აცხადებს ექსპერტი.

– პოლიტიკურად რამდენად სწორია ეს პოზიცია?

– პოლიტიკა ცოტა შორს არის ადამიანურობისგან და პედალირება ამ პოზიციისა თვითონ ივანიშვილისთვის არის პოლიტიკურად წამგებიანი, რადგან სულ ჩნდება შემდეგ საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ აი, ივანიშვილი პროცესებს მართავს, აი, ივანიშვილი ერევა პოლიტიკაში.

– რეალურად ერევა?

– შეიძლება ერევა, შეიძლება არა. შესაძლოა, მის ამ პოზიციას სულაც არ მოსდევს არანაირი მითითება. მით უმეტეს, ასეთი მითითების უფლება ივანიშვილს არ აქვს, მაგრამ მერე ეს ყველაფერი სალაპარაკო ხდება. ანალოგიური სიტუაცია ხშირად იქმნება ივანიშვილის ინტერვიუების დროს.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად იმას, რომ მან ინტერვიუს დროს მკაცრი შეფასება მისცა რუსთავი 2-ს. მერე ამან გააჩინა ის ვერსია, რომ ტელეარხის დღევანდელი პრობლემები ხელისუფლების ინტერესშია. რომ არ ყოფილიყო ის ინტერვიუ და ეს შეფასებები, ეს ვერსია არ გაჩნდებოდა.

– ზედმეტი გულახდილობა ხომ არ აზარალებს ხოლმე ბიძინა ივანიშვილს?

– ის, რაც ადამიანურ ურთიერთობებში დიდი პლუსია – ზედმეტი გულახდილობა – პოლიტიკაში შეიძლება წამგებიანი აღმოჩნდეს.

– საზოგადოებაში არის მოსაზრება, რომ ივანიშვილი განაწყენებულია მარგველაშვილზე და ცდილობს, ასე გადაუხადოს სამაგიერო. რამდენად სწორია ეს შეფასებები?

– არა მგონია, რომ ეს ვერსია სწორი იყოს. უბრალოდ, ივანიშვილს სურს, რომ გააკეთოს ის, რაც იყო ნათქვამი. ის, რომ იმ სასახლეში ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები არ შევლენ. რეალურად პრეზიდენტს არაფერი არ აკლდება იმის მიხედვით, თუ რომელ შენობაში იქნება.

– მაშინ რა ხდება? ჭირვეული ბავშვივით რატომ იქცევა პრეზიდენტი?

– მარგველაშვილი რატომ იქცევა ჭირვეული ბავშვივით, ეს ჩემთვისაც არ არის ადვილი ასახსნელი. იმიტომ, რომ ეს ბრძოლა მარგველაშვილისთვისაც წამგებიანი იქნება. რაც უფრო მეტად დაამსგავსებენ ივანიშვილი და მარგველაშვილი ამ ურთიერთობას ბრძოლას, მოსახლეობისთვის იმდენად მიუღებელი იქნება თითოეულის ნაბიჯები.

– ანუ ეს პროცესი ორივეს აზარალებს პოლიტიკური თვალსაზრისით?

– რა თქმა უნდა. ამ ბრძოლაში მოგებული არავინ დარჩება.

ექსპერტი პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში შემოსვლას ეხმიანება.

– ჩვენ ვნახეთ, ივანიშვილი საზოგადოებრივად აქტიურმა ცხოვრებამ როგორ მიუახლოვა პოლიტიკას და საკმაოდ შედეგიანადაც. სავარაუდოა, რომ ანალოგიური ემოციები პაატა ბურჭულაძესაც აქვს, – აცხადებს ფსიქოლოგი. რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ როცა ადამიანი აქტიურად ერევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მას უჩნდება სურვილი, რომ პოლიტიკურადაც შეცვალოს რაღაც.

– კეთდება შეფასებები, რომ ბურჭულაძე ივანიშვილს ჩაანაცვლებს. თქვენ რას ფიქრობთ?

– რა კუთხით ჩაანაცვლებს? „ქართულ ოცნებასთან“ ურთიერთობაში თუ მთავრობასთან ურთიერთობაში?

– რომ მოვა ხელისუფლებაში საკუთარი გუნდით.

– მეეჭვება.

– რატომ?

– ივანიშვილის მოსვლის მომენტი საკმაოდ სპეციფიკური იყო და მეეჭვება, იგივე სიტუაცია იყოს ახლა. ერთმა ადამიანმა, ბიძინა ივანიშვილმა, დააკომპლექტა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. ეს არის იმ 20 წლიანი ქველმოქმედების შედეგი, რომელიც ივანიშვილის სახელს უკავშირდებოდა. ახლა მსგავსი არაფერი მოხდება.

გაუქმდეს სამხედრო სავალდებულო სამსახური!

„გირჩმა“ პირველი აქცია გამართა

სამხედრო სავალდებული სამსახურის გაუქმების მოთხოვნით და პარლამენტში ინიცირებული შესაბამისი კანონპროექტის მხარდაჭერის მიზნით გუშინ, 16 ნოემბერს აქცია გაიმართება.

აქცია თბილისში პარლამენტის შენობის უკან, ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩი“ ორგანიზებით დაიგეგმა.

საკანონმდებლო ინიციატივა სწორედ „გირჩის“ წარმომადგენლებს, ოპოზიციონერ დეპუტატ ზურაბ ჯაფარიძეს ეკუთვნის.

აქციის ორგანიზატორთა განცხადებით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემა ახალგაზრდებს ცხოვრების ერთ წელს ართმევს, ვერ აძლიერებს ჯარს და ვერც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

მათივე შეფასებით, სავალდებულო სამხედრო სამსახური კორუფციის, ნეპოტიზმისა და გაჭირვებულთა ჩაგვრის წყაროდ იქცა.

– ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, ეს ინიციატივა არ ნიშნავს უარის თქმას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე. საქართველომ უნდა აირჩიოს განვითარებული ქვეყნების გზა, სწრაფად განავითაროს ეკონომიკა და საკუთარი უსაფრთხოება უზრუნველყოს თანამედროვე თავდაცვის სისტემებით, პროფესიონალური არმიის გაძლიერებითა და საჭიროების შემთხვევაში, ეფექტური სარეზერვო სისტემით, – აცხადებენ აქციის ორგანიზატორები.

ინტერპრესნიუსი

აშშ საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულ რეფორმებს დადებითად აფასებს და რეგიონში საქართველოს უპირატესობას აღიარებს

აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფი საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს დადებითად აფასებს

12 ნოემბერს, ვაშინგტონში, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც თბილისში, 2014 წელს გამართულ შეხვედრაზე განსაზღვრული მიზნების განხორციელებაში მიღწეული პროგრესი განიხილეს.

შეხვედრა სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის პლენარულ სხდომას დაეყრდნო, რომელიც ვაშინგტონში საქართველოს ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტის ფარგლებში შედგა და რომელსაც ამერიკის მხრიდან სახელმწიფო მდივნის მოადგილე ენტონი ბლინკენი და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი მასპინძლობდნენ.

მხარეებმა დაადასტურეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისთვის სამართლიანი, თანასწორი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს, ასევე პოლიტიკური, მედია და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ღია, პლურალისტური და დამოუკიდებელი სივრცის მნიშვნელობა.

სხვათა შორის, ოპოზიცია ცდილობს, რუსთავი 2-ის გარშემო განვითარებული მოვლენები მუქ ფერებში დახატოს, მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დადებითად შეაფასა აღნიშნულ ტელეკომპანიასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები, რაც იძლევა შესაძლებლობას, სააპელაციო პროცედურები გაგრძელდეს და საქართველოში მედია-პლურალიზმი შენარჩუნდეს.

შეხვედრის შემდგომ მხარებმა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ფარგლებში დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შესახებ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

მასში ღიად არის დაფიქსირებული საქართველოს მიღწევები და რეფორმები ისეთ სფეროებში, როგორებიც არის სასამართლო სისტემა, გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა, წარმატებები უშიშროების სამსახურისა და სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების პროცესში.

ამერიკული მხარე საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს დადებითად აფასებს.

– ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირდაპირ შეაქო საქართველო სასამართლო სისტემაში, გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ეს ძალისხმევა გაგრძელდება და უფრო ღრმად და ფართოდ აისახება როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში, – ნათქვამია განცხადებაში.

ამერიკამ ასევე მოიწონა საქართველოს განზრახვა წინასასამართლო პრობაციის სამსახურის შექმნის შესახებ და მოელის, რომ ეს განზრახვა სწრაფად განხორციელდება.

– ორივე მხარემ აღნიშნა საქართველოს წარმატებები სამართალდამცავი და უშიშროების სამსახურების, ადმინისტრაციული და წინასწარი პატიმრობის და სასჯელაღსრულებითი სისტემის რეფორმებში, – აღნიშნულია განცხადებაში.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ ზემოაღნიშნული და სხვა რეფორმების განხორციელება მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის, კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს დემოკრატიას და ხელს უწყობს საქართველოს თავისი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიზნების მიღწევაში.

– ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს აღუთქვა, რომ გააგრძელებს აღნიშნული მიზნების მიღწევაში მის მხარდაჭერასა და დახმარებას, – აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

რაღა თქმა უნდა, შეხვედრაზე გვერდი არ აუვლიათ ისეთი მნიშვნელოვანი თემისთვის, როგორიც საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიღებაა.

უფრო ზუსტად კი, ამერიკულმა მხარემ კმაყოფილება გამოთქვა ამ კანონზე, რადგან იგი საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

– ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეაქო საქართველოს ძალისხმევა, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისკენ, და ამასთან, მხარეებმა დაადასტურეს, რომ მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს პროგრესი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმა საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში მიღებულ კანონს, რომელმაც საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერებას შეუწყო ხელი, – აღნიშნულია ერთობლივ განცხადებაში.

საინტერესოა, რომ აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფმა რეგიონში საქართველოს მოწინავე პოზიცია აღიარა, რაც განცხადებაშიც დაფიქსირდა.

– სამუშაო ჯგუფმა აღიარა საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა ისეთი ინკლუზიური საზოგადოების შექმნის მიმართულებით, სადაც დაცულია ყველა ადამიანის, მათ შორის, უმცირესობათა წარმომადგენლების უფლება, რეგიონში საქართველოს მოწინავე პოზიცია ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით, და მისი ძალისხმევა, ებრძოლოს ადამიანებით უკანონო ვაჭრობას, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები შედიოდნენ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ ჯანელიძე და იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე თანათავმჯდომარეობდნენ, აშშ-ის დელეგაციას კი – ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის თანაშემწის მოადგილე ჯონათან კაცი და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის რეგიონული ხელმძღვანელი კეთრინ ნიუკომბი.

აშშ-ს დელეგაციაში წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები.

ნინო ბარბაქაძე

გიორგი თავდგირიძე: „ნატო ყველაფერში გვეხმარება“

„ფართოვდება წრე, რომელიც მხარს გვიჭერს ნატოში გაწევრიანებაში“

გულიკო ბალაძე

– მეტი ნატო საქართველოში, – ასეთი ლოზუნგით გამოვიდა თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ნატოს ლიდერებთან შეხვედრების შემდეგ. გაამართლა თუ არა თავდაცვის მინისტრის მკაცრმა ტონმა ნატოს ლიდერებთან მოლაპარაკებებისას?

როგორია ნატოში გაწევრიანების პერსპექტივები, რა სურათი იქნება ვარშავის სამიტის წინ და რა კეთდება ჩვენი თავდაცვისუნარიანობის მდგრადობისთვის? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ თავდაცვის მინისტრის მრჩეველი გიორგი თავდგირიძე ესაუბრა.

– რას ნიშნავს მეტი ნატო საქართველოში? მინისტრმა ასეთი ფორმულირებით ლოზუნგი იმიტომ ხომ არ მიაწოდა საზოგადოებას, რომ ნატოში შესვლის პროცესი ფერხდება, საზოგადოებას კი გარკვეული ინფორმაციული საკვები სჭირდება?

– კონკრეტულ თარიღზე საუბარი სპეკულაცია იქნება. წინა ხელისუფლებამ შეგვაჩვია, რომ ნატოში შესვლის თემით საზოგადოებაზე მანიპულირება ხორციელდებოდა. დღეს გვაქვს ყოვლისმომცველი თანამშრომლობა ნატოსთან.

– ახალდანიშნული თინა ხიდაშელი სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებს ხვდებოდა და ამ თემას ააქტიურებდა. როდესაც თავდაცვის მინისტრმა ისროლა ლოზუნგი „მეტი ნატო საქართველოში“, ეჭვი გამიჩნდა, ხომ არ მიიღო თინა ხიდაშელმა ნატოს ლიდერებისაგან სკეპტიკური პასუხები-მეთქი.

– გესაუბრებით, როგორც მინისტრის მრჩეველი და ოფიციალურ პასუხს გაგცემთ. ვისაუბრებ იმაზე, რაშიც ჩახედული ვარ.

„მეტი ნატო საქართველოში“ არ იყო მინისტრის ლოზუნგი, ნატოს პოლიტიკოსების განცხადება გახლდათ.

მინისტრმა შეცვალა აქცენტები, საქართველოს მხრიდან აღარ არის ხვეწნა-მუდარის ტონი. მინისტრი საუბრობს იმ მიზეზებზე, რის გამოც საქართველო ნატოს წევრი უნდა იყოს. მინისტრი ამაზე საუბრობს პრინციპულად, მყარი არგუმენტებით და საკმაოდ მკაცრი ტონითაც. ფაქტობრივად, საქართველო ესაუბრება ნატოს, როგორც პასუხისმგებლიანი სახელმწიფო, რომელმაც იცის, რა უნდა, რომელსაც არ უნდა მხოლოდ კალთის გადაფარება.

– როგორი პასუხებია მინისტრის მკაცრ ტონით ნათქვამზე ნატოს მხრიდან?

– საქართველო საუბრობს იმაზე, რომ მას შეაქვს დიდი წვლილი გლობალურ უსაფრთხოებაში და, შესაბამისად, აქეთაც მყარი გარანტია უნდა, რომ მისი უსაფრთხოება იქნება გარანტირებული.

– პასუხები და შედეგები როგორია ისეთი ტონისა, რაც აირჩია თინა ხიდაშელმა?

– შედეგები შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ – მიმდინარე შედეგები და სტრატეგიული მიზანი. სტრატეგიული მიზანი არის ნატოს წევრობა. არა მაპი, არა რაღაც შუალედური რაღაც, არამედ ნატოს წევრობა. შეიძლება ამ გზაზე შუალედური ბარიერი გამოჩნდეს, რაც შესასრულებელი გვექნება,

„საქართველოდან სირიაში წასული ნებისმიერი პირი არის მკაცრი კონტროლის ქვეშ“

მაგრამ მთლიანობაში ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ საქართველო გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი.

– არა არსებითი პაკეტიც?

– არსებითი პაკეტი ახლა გვაქვს. ამ პოლიტიკის ტაქტიკური შედეგები არის არსებითი პაკეტი და ინტენსიური თანამშრომლობა, რომელიც საქართველომ გააფორმა ხელშეკრულების სახით და ხელშესახები შედეგები იქნება.

არსებითი პაკეტის ფარგლებში, მაგალითად, ნატოს გენერალურმა მდივანმა და ნატოში შემავალმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება და გვეხმარებიან პრაქტიკულად სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარების, მატერიალური სახითაც და პრაქტიკული ღონისძიებებითაც.

– კონკრეტულად, რა ხორციელდება?

– არსებითი პაკეტის ფარგლებში ნატოს 28 ქვეყანა თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რომ საქართველოს გაუწევს დახმარებას კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში.

– მაგალითად?

– მაგალითად, საფრანგეთმა თავის თავზე აიღო, რომ დაეხმარება საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის აწყობასა და გაშვებაში. საფრანგეთიდან ვყიდულობთ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებას. ფაქტობრივად, ჩვენ ევროპული ემბარგო გავარღვიეთ, ევროპული წამყვანი ქვეყნისგან ვყიდულობთ მაღალტექნოლოგიურ სისტემას, რომელიც აწყობილი და გაშვებული იქნება. ამაში დაგვეხმარება საფრანგეთი.

– იარაღის შეძენაზე ემბარგო 2008 წლის ომის შემდეგ იყო დაწესებული.

– იარაღის შეძენაზე ემბარგო მხოლოდ 2008 წელთან არ არის დაკავშირებული. უბრალოდ, ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის სახელმწიფოსგან იარაღის შესყიდვა პოლიტიკური საკითხია, არ არის მხოლოდ კომერციული საკითხი. რომელიმე ფირმამ იარაღი რომ მოგყიდოთ, პოლიტიკური ნებართვა სჭირდება. ემბარგო გამოცხადებული არ იყო, მაგრამ იარაღის შეძენაზე ნებართვის მიღება ვერ ხერხდებოდა.

შესაბამისად, ჩვენ ვერ ვყიდულობდით მნიშვნელოვან პარტია იარაღს და გვიწევდა შუამავალი ფირმების ან მესამე ქვეყნების საშუალებით ასეთი ტიპის შეიარაღების მოძიება.

– დღეს რა მდგომარეობაა?

– საფრანგეთთან გაფორმდა ხელშეკრულება და ჩვენ მივიღებთ თავდაცვის საშუალებებს – მაღალტექნოლოგიურ შეიარაღებას. როცა დავიწყებთ იარაღის მიღებას, შემდეგ შეგვეძლება თავისუფლად საუბარი.

– როდის დაიწყება მაღალტექნოლოგიური იარაღის მიღების პროცესი?

– ხელშეკრულება დასრულებულია და პრაქტიკულ ღონისძიებაზე ვართ მისული. უახლოეს ხანში საქართველოს ექნება საჰაერო თავდაცვის მაღალტექნოლოგიური საშუალებები და ეყოლება ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საკმაოდ ეფექტური ძალები. ამის შეფობა არსებითი პაკეტის ფარგლებში აქვს საფრანგეთს.

– სხვა ქვეყნები?

– მაგალითად, აშშ-მ თავის თავზე აიღო საქართველოს ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით უზრუნველყოფა და ამ ტიპის ძალების მომზადება. პრაქტიკული მოლაპარაკებების ფაზაში ვართ.

– ნატოში გაწევრიანება იმიტომ გვინდა, რომ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა უზრუნველყოფილი იყოს.

– ნატოში გაწევრიანებას ორი მიზანი აქვს.

პირველია, მაღალ ტექნოლოგიებთან დაშვება მივიღოთ, საქართველო გადავაიარაღოთ და აღვჭურვოთ ასეთი მაღალტექნოლოგიური იარაღით.

მეორეა კოლექტიური უსაფრთხოება. არაფორმალურად და ორმხრივი მოლაპარაკებების ფარგლებში კოლექტიური უსაფრთხოება გვაქვს.

უბრალოდ, ნატოში გაწევრიანება საშუალებას მოგვცემს, აპელაცია პირდაპირ მეხუთე პუნქტზე გავაკეთოთ, როცა ნატოს წევრ ქვეყანაზე თავდასხმა ნიშნავს ნატოს წევრ ყველა ქვეყანაზე თავდასხმას.

სხვა მხრივ, პრაქტიკული ღონისძიებების თვალსაზრისით, ჩვენ ვიყენებთ ნატოს წევრი ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებს ჩვენი ოფიცრების მოსამზადებლად, საქართველოში ჩამოდიან ნატოს ქვეყნების ოფიცრები, სპეციალისტები და გვეხმარებიან იმ მიმართულებებში, სადაც გარკვეული ხარვეზები გვაქვს. ვიყენებთ ნატოს შეიარაღებას და ვიყენებთ მათ ბაზებს.

ჩვენი დანაყოფები ინტეგრირებული არიან ერთიანი მართვის სისტემაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

– რა ხარვეზები გვაქვს, რაშიც ნატოს წარმომადგენლების ჩართვა არის საჭირო?

– 2008 წელს ჩვენ ნაყიდი გვქონდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ელიზბარ ჯაველიძე: „თუ ივანიშვილი რესპუბლიკელებს არ მოიცილებს, რეიტინგს საბოლოოდ დაკარგავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მოშიმშილეების მიმართ კომუნისტებიც კი ლმობიერ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ძალიან კარგად მახსოვს, რა საშინელ დღეში ვარდებოდა ხოლმე ჯუმბერ პატიაშვილი, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია შიმშილობას თუ გამოაცხადებდნენ. ცეკას მდივანი ისე წუხდებოდა, ადგილს ვერ პოულობდა. მოშიმშილეებთან მეც გავუგზავნივარ. ეხვეწებოდა, ოღონდ შიმშილობა შეწყვიტეთ და თქვენს ყველა მოთხოვნას შევასრულებო.

– მოშიმშილეთა მიმართ ყურადღებას არც ელჩები და არასამთავრობოები იჩენენ, ამაზე რას იტყვით?

– არასამთავრობოებს მხოლოდ სექსუალური უმცირესობები აინტერესებთ, აბა რომელიმე მათგანს ეშიმშილა და ხელისუფლებას ყურადღება არ მიექცია, ისეთ ამბავს ატეხდნენ, ქვას ქვაზე არ დატოვებდნენ. ამ არასამთავრობოებს არც არჩევნების გაყალბება გაუპროტესტებიათ. მათაც კარგად იციან, რომ არჩევნები რესპუბლიკელებმა გააყალბეს და ამიტომ არიან ჩუმად. ესეც ამტკიცებს იმას, რომ არასამთავრობოების უმეტესობა სულ რესპუბლიკელებიდან არის გამოჩეკილი. საბედნიეროდ, საღად მოაზროვნე არასამთავრობოებიც გვყვანან, ისინი მოშიმშილეების გვერდით არიან.

ელჩებს რაც შეეხება, მათი დუმილი არ გამკვირვებია. ესეც მარწმუნებს იმაში, რომ ხელისუფლება გაყალბებაში არ გარეულა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკის ელჩს ვინ გააჩერებდა, ხელისუფლებას ყველაფერზე აკრიტიკებს და ამაზე არ ამოიღებდა ხმას?

უცხოელი დიპლომატები ჩვენს საშინაო საქმეებში უხეშად ერევიან, მათი გატუტუცება ჩვენი ბრალია. ყველაფერს მათ ვეკითხებით და მათი სიტყვა კანონად მიგვაჩნია. ამან ამერიკის ახალი ელჩი ისე გაათავხედა, რომ ახლა ეგ გვინწყვეტს, როდის არის დღე და როდის ღამე. საღამოს 5 საათზე გამოტანილ განაჩენზე თქვა, შუაღამეს გამოიტანეს განაჩენიო. როდის იყო საღამოს 5 საათი შუაღამე? მაგათ ეტყობა, ჰგონიათ, რომ საქართველოში ბნელა.

სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ამერიკის ელჩისგან კარგს არაფერს ველოდი. 2011 წლის 26 მაისს ამერიკის მაშინდელი ელჩის, საყურიანი ჯონ ბასის, ბრძანებით დაგვარბიეს და დაგვხოცეს. ამაზე ამერიკა არ შეშფოთებულა. ბასს ნორლანდი მოჰყვა, რომელმაც კიდევ ბევრი საშინელება ჩაიდინა.

– იმან რაღა ჩაიდინა, პატონო ელიზბარ?

– ხიდაშელი დაგვისვა თავდაცვის მინისტრად და ამაზე უარესი რაღა უნდა ჩაედინა? ეს ელჩი ნორლანდზე უარესია. მომავალში კიდევ უფრო უარესს გამოგზავნიან. კაცმა რომ ჰკითხოს, დემოკრატიას იცავენ და თავიანთ მოსაზრებებს გვახვევენ თავზე, სასამართლო და არჩევნებიც ისე უნდა დამთავრდეს, როგორც მათ სურთ.

ასეთი დამოკიდებულება უნდა დავასრულოთ. ამის იმედს ბიძინა ივანიშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები მაძლევს. თავის ბოლო ინტერვიუში ივანიშვილმა თქვა, საქართველომ ყველას უნდა გაუწიოს ანგარიში, მაგრამ ყველაზე წინ ქართველი ხალხი და ჩვენი ქვეყანა უნდა დავაყენოთო.

ძალიან მომეწონა ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაც, რომელმაც შუალედური არჩევნების წინაც და მის შემდეგაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ თამარ ხიდაშელი მხოლოდ რესპუბლიკელების კანდიდატი იყო და არა – მთლიანად კოალიციის.

– თქვენი აზრით, ამ განცხადებით ღარიბაშვილი რესპუბლიკელებს გაემიჯნა?

– მან დააფიქსირა სწორი პოზიცია. კარგი იქნება, თუ „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელებს მოიშორებს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები – თუ ივანიშვილი რესპუბლიკელებს არ მოიცილებს, რეიტინგს საბოლოოდ დაკარგავს.

თავის დროზე მარგველაშვილთან დაკავშირებითაც მივეცი რჩევა, ვეუბნებოდი, სანდო არაათქო, არ დამიჯერა და ახლა ყველაზე მეტად ნანობს, რომ მისი კანდიდატურა წამოაყენა. იმედია, რესპუბლიკელებთან დაკავშირებით მაინც დამიჯერებს.

– თქვენ მას რესპუბლიკელების ჩამოშორებას ურჩევთ. ექსპერტთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ისინი თავად დატოვებენ კოალიციას.

– რა თავისი ნებით, ამ ეტაპზე მათ კოალიციიდან წიხლის კვრითაც ვერავინ გააგდებს. დამიჯერეთ, ეგენი თავისი ნებით არსად წავლენ.

– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული?

– იმიტომ, რომ 2%-იანები არიან. ამხელა რეიტინგით კი ხელისუფლებაში ვერასდროს მოვლენ. მათ ძალიან კარგად იციან, რაც ელოდებათ და ამიტომაც არ დატოვებენ „ქართულ ოცნებას“.

ისინი კარგად გრძნობენ მათ მიმართ ქართველი ხალხის უარყოფით დამოკიდებულებას და ისიც იციან, რომ არც კოალიციაში უყურებენ კარგი თვალით. ადრე თუ გვიან მათ აუცილებლად ჩამოიშორებენ და ამიტომაც უკვე დაიწყეს სამომავლო გეგმების დასახვა.

– რა გეგმებზე საუბრობთ?

– ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი ამერიკაში საიდუმლო ვიზიტით წავიდა.

– რატომ გგონიათ, რომ ეს ვიზიტი საიდუმლო იყო?

– ამ ვიზიტის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. კაი საქმეზე რომ წასულიყო, ამას არ დამალავდა და მთელ ქვეყანას სიამაყით ამცნობდა, ამერიკაში მივდივარო. ჩუმად რაკი წავიდა, იქ, ეტყობა, დავალებები მისცეს. რესპუბლიკელებს რომ ამერიკელები მართავენ და აფინანსებენ, ეს ყველამ იცის.

რესპუბლიკელებს რომ რაღაც გეგმები აქვთ სამომავლოდ, ამაზე ლევან ბერძენიშვილის განცხადებაც მეტყველებს. მან ნაციონალებს მოუწოდა, სააკაშვილი ჩამოიშორეთო.

– ამ განცხადებამ რატომ დაგაეჭვათ?

– სააკაშვილს სახელი ძალიან აქვს გატეხილი, ხალხი ვერც მის პარტიას იტანს. რესპუბლიკელებს ჰგონიათ, რომ თუ სააკაშვილს ნაციონალებს მოაშორებენ, ამით ხალხს იმ საშინელებას დაავიწყებენ, რაც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა. რესპუბლიკელებს რომ მათთან დაკავშირებით რაღაც გეგმა აქვთ, ამაზე დავით უსუფაშვილის განცხადებებიც მეტყველებს. ის სულ ამბობს, რომ მათი მთავარი მიზანი ნაციონალური მოძრაობის, როგორც პარტიის, გადარჩენაა.

ნაციონალების მიმართ ჩემი დამოკიდებულება ყველას მოეხსენება, მაგრამ რესპუბლიკელებს მაინც სჯობიან. თავისი არსით ანტიეროვნულები იყვნენ, მაგრამ ხალხის გასაგონად მაინც აკეთებდნენ პატრიოტულ განცხადებებს. ამათი განცხადებები კი თავიდან ბოლომდე ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივია.

– ლევან ბერძენიშვილის შეთავაზება საკაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება ხომ არ არის?

– შეთქმულება არ არის, უბრალოდ, ამერიკამ გადაწყვიტა ასე. მათი იდეაა, რომ ყოფილი პრეზიდენტი ნაციონალებს ჩამოსცილდეს. ამიტომაც დაასაქმეს ის უკრაინაში. ვაშინგტონმა ძალიან კარგად იცოდა, რომ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა არ იყო. მას მხოლოდ იმიტომ არ ელეოდნენ, რომ ბრძანებებს ასრულებდა კარგად. სხვანაირად ის 9 წელი თანამდებობას ვერ შეინარჩუნებდა.

ახლა ეტყობა რესპუბლიკელებმა დაარწმუნეს, რომ სააკაშვილზე უკეთ შეასრულებენ დავალებებს. თავისი ერთგულების დამტკიცებას ალასანიას პარტიის წევრებიც ცდილობენ.

რესპუბლიკელებმა კარგად იციან, რომ დამოუკიდებლად ვერაფერს იზამენ. ამიტომაც ცდილობენ წინასწარი თადარიგის დაჭერას. კოალიციიდან გამოპანღურების შემთხვევაში ისინი მარგველაშვილთან, ალასანიასთან და ნაციონალებთან ერთად შექმნიან კოალიციას.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

სვანური ტურიზმი თეთნულდის ტრასის გახსნის იმედადაა

სვანეთში ზამთრის საკურორტო სეზონის გამოცოცხლება თეთნულდის ტრასის გახსნის იმედადაა.



სასტუმროს მეპატრონეები მესტიაში წელსაც ტურისტების სიმცირეს ვარაუდობენ. არასაკმარისი რეკლამირება და მესტიიდან უშგულამდე რთულად მისასვლელი გზა ის მთავარი პრობლემაა, რომელსაც ადგილობრივი სასტუმროს მფლობელები ასახელებენ.

– თეთნულდის ტრასის გახსნას ველოდებით და ვფიქრობთ, რომ ვიზიტორების რაოდენობაზე ეს ფაქტი დადებითად აისახება.

ამის შესახებ ბიპიენს მესტიაში მდებარე ერთ-ერთი სასტუმროს მფლობელმა, ნინო წულუკიანმა განუცხადა.

ნინო წულუკიანი:

– ჩემი აზრით, ნაკლებად ხდება ამ კუთხის რეკლამირება, რაც, თავისთავად, მოქმედებს ჩვენი სტუმრების რიცხვზე. მესტიიდან უშგულამდე 45 კილომეტრიანი გზის გავლას სატრანსპორტო საშუალება 2 საათნახევარს ანდომებს. დაახლოებით ათი კილომეტრი ბეტონის სწორი გზაა, მაგრამ ძირითადი ნაწილი ქვიანი და დაზიანებულია. შესაბამისად, ეკონომიურადაც ძვირი უჯდება ტურისტს უშგულამდე მისვლა.

ტაქსის დაქირავება 200 ლარი ღირს, მძღოლები უფრო ნაკლებად ვერ მიდიან, რადგან გზა ძალიან ცუდია. არავის აქვს გარანტია, რომ მანქანას რამე არ გაუფუჭდება.

სასტუმროებსაც აქვთ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები და ამ შემთხვევაში ტურისტს გადაადგილება 20%-ით იაფი უჯდება.

ბოლო დროს ძალიან ბევრი ე.წ გესთჰაუზი აშენდა, კონკურენციაც დიდია. ზაფხულის სეზონზე მესტიას უამრავი ტურისტი სტუმრობდა, მათი უმრავლესობა უცხოელი იყო, მაგრამ ზამთრის სეზონი შარშანაც არ გვქონია. წელსაც პესიმისტური განწყობა გვაქვს. რაც შეეხება წინა წლებს, ზამთარ-ზაფხულ გვყავდა ვიზიტორები.

ნინო წულუკიანის თქმით, მოუწესრიგებელი გზის გარდა, მესტიაში ნარჩენების მართვის კუთხითაც სავალალო მდგომარეობაა.

ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი

ტურიზმი გზამკვლევებიდან იწყება

იურგ შმიდი

იურგ შმიდი შვეიცარიის ტურიზმის ოფისის ხელმძღვანელია. მას ბიზნესის მართვის სფეროში სამეცნიერო ხარისხი აქვს და ტურიზმის ინდუსტრიის შესახებ პრაქტიკულად ყველაფერი იცის.

შმიდმა ჟურნალ „სნობს“ მოუთხრო, როგორ უნდა შევქმნათ ტურისტული ადგილები, რატომ არ არის შვეიცარია სტუდენტი ტურისტებისთვის შესაფერისი ქვეყანა, დასვენების რომელი სახეობაა ალპებში ყველაზე პოპულარული და რა უნდა გავაკეთოთ მთებში ზაფხულში.

– რაში მდგომარეობს შვეიცარიის, როგორც ტურისტული ქვეყნის, უნიკალურობა?

– შვეიცარიის თავისებურება იმაშია, რომ ის ევროპის შემცირებული მოდელია. ჩვენთან წარმოდგენილია ფრანგული, გერმანული, იტალიური კულტურები. ერთსაათიანი მოგზაურობის დროს, თქვენ შეძლებთ გასტრონომიასა თუ ხელოვნებაში სრულიად სხვადასხვა ტრადიციების გაცნობასა და მყინვარებიდან პალმებამდე ბუნებრივი მრავალფეროვნების დათვალიერებას.

– შვეიცარიაში მრავალფეროვნების აღსაქმელად ჩასვლა ჯობია თუ კონკრეტული კანტონებისა და მათი კულტურის გაცნობა?

– მიზანს გააჩნია. ტურიზმი ინდივიდუალურია. თუ თქვენ არქიტექტურა, ხელოვნება და ხელსაქმე გიტაცებთ, არ გირჩევდით იმ რეგიონებში წასვლას, სადაც ადამიანები სპორტის სამთო სახეობებით არიან დაკავებულები. შვეიცარიაში მსოფლიო დონის ხელოვნების ნიმუშების გამოფენები და სუფთა ჰაერზე დასვენების უნიკალური შესაძლებლობებია – ყველაფერი თქვენს სურვილზეა დამოკიდებული.

ასეთი ქვეყნები მართლაც არ არის ბევრი. ვფიქრობ, ეს ხსნის, თუ რატომ არიან შვეიცარიელები ჭეშმარიტად ტურისტული ერი. უკვე 250 წელია ჩვენ ტურიზმით ვართ დაკავებულები. ტურიზმი შვეიცარიაში გაჩნდა.

– ტურიზმის ისტორიის შესახებ უფრო ვრცლად მოგვიყვით.

– შვეიცარიელები მთებში დიდი ხნის განმავლობაში არ ადიოდნენ, რადგან შიშობდნენ, რომ იქ ავი სულები ცხოვრობენ. 160 წლის წინ თომას კუკმა თანამედროვე გაგებით ტურიზმს ჩაუყარა საფუძველი. მან პირველი ორგანიზებული ჯგუფი შექმნა და შვეიცარიაში წაიყვანა. ერთი წლის შემდეგ ქვეყანაში პირველი ტურისტები ჩავიდნენ, 10 წლის შემდეგ კი აქ უკვე ზამთრის სრულფასოვანი ტურიზმი არსებობდა.

– ვენეციის მაგალითზე ვხედავთ, რა შეიძლება გამოიწვიოს ტურისტების მხრიდან გადამეტებულმა ინტერესმა: ძალიან დიდი რიგები მუზეუმებში, თეატრებსა და კინოთეატრებში, ქალაქის ჭარბად დასახლება და შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის გადინება. ტურიზმის დამანგრეველი ძალის არ გეშინიათ?

– არ გვეშინია, თუმცა ვითვალისწინებთ. შვეიცარია არ არის ქვეყანა მასობრივი მოგზაურობისთვის. ვენეცია მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი და ყველაზე ცხელი ტურისტული წერტილია. ტურისტების უზარმაზარი მასის გამო ის აუთენტურობას კარგავს.

შვეიცარიული მოდელისთვის დამახასიათებელია ხარისხი და არა – რაოდენობა. ჩვენ უზარმაზარ სასტუმროებს არ ვაშენებთ და კარგად გვესმის, რომ ხალხი ჩვენთან სუფთა წყლისა და ტყეების გამო მოდის. ამ განძს გაფრთხილება სჭირდება, მომხიბვლელობა რომ არ დაკარგოს.

აზიაში, განსაკუთრებით ჩინეთში, ჩვენი ქვეყნის მიმართ ინტერესი დიდია. ჩვენ ბევრი ტურისტის მიღება გვინდა, თუმცა ვაცნობიერებთ, რომ ზღვრის გადასვლის შემთხვევაში, შვეიცარია მომხიბვლელობას დაკარგავს.

– ქალაქებზე რას იტყვით?

– თქვენ აქ დიდ სამეფო სასახლეებს ვერ იპოვით. შვეიცარიას მეფე არ ჰყოლია. ეს მსოფლიოს უძველესი დემოკრატიაა. შვეიცარიის ქალაქებში სეირნობა შეიძლება, მე მათ ქალაქ-ბუტიკებს ვუწოდებდი. მათი უმეტესობა მტკნარი ტბის პირას მდებარეობს. შეიძლება იმავე წყლის დალევა, რომელშიც ბანაობთ. ზაფხულში წყალში შესვლა პირდაპირ კლასიკური კონცერტის მოსმენისთანავე შეგიძლიათ.

– ნაკრძალები ტურისტულ ადგილებად როგორ ვაქციოთ?

– პირველ რიგში, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის შექმნა და ბუნების შენარჩუნებაა. ტურიზმი იმშენებლობიდან კი არა, გზამკვლევებისგან იწყება. შვეიცარიაში ტურიზმი იქამდე არ ყოფილა, სანამ ენთუზიასტი ინგლისელები არ ჩავიდნენ. ადგილობრივები ვერც კი ხვდებოდნენ, რომ მთები შეიძლება საინტერესო ყოფილიყო.

– გზამკვლევებს უნდა გავყვეთ?

– არჩევანი უკეთესსა და უფრო იაფს შორის უნდა გავაკეთოთ. უნდა დავსვათ კითხვა: ჩვენ, როგორც ქვეყანას, მსოფლიოსთვის რისი შეთავაზება შეგვიძლია და ფული რითი უნდა ვიშოვოთ?

შეგვიძლია ბევრი ადამიანის იაფფასიანი დასვენება უზრუნველვყოთ, მაგრამ თუ გსურთ სხვებზე უკეთესები იყოთ, ფასები უნდა გაზარდოთ.

არჩევანი თავიდანვე არ გვქონია. საკუთარ თავს იაფფასიანი ტურიზმის უფლებას ვერ მივცემთ. შვეიცარიაში მაღალი ხელფასები, ცხოვრების მაღალი დონე, მაღალი ფასებია. ამდენად, ჩვენი სტრატეგია მარტივია – სხვებს უნდა ვჯობდეთ.

სწორედ ასეთ საათებს ვაკეთებთ: ყველაზე ძვირსა და საუკეთესოს.

სასტუმრო ბიზნესშიც იგივე სტრატეგია გვაქვს: პატარა, თითქმის საოჯახო ტიპის სასტუმროები დამსვენებლებისადმი ინდივიდუალური მიდგომით.

ეს ჩვენი გზაა და შეიძლება სხვებისთვის ის გამოუსადეგარი იყოს.

განცხადება აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად:

სპეციალობა ფინანსები

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია;

ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია.

სპეციალობა მენეჯმენტი

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია;

ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია.

სპეციალობა მარკეტინგი

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია;

ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია.

სპეციალობა საბუღალტრო აღრიცხვა

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია.

კონკურსი ცხადდება 2015 წლის 17 ნოემბრიდან

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა 2015 წლის 18 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით კონკურსანტთა საბუთების მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისი სპეციალობისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე);
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. ერთი ფოტოსურათი;
5. კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საგანმანათლებლო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
6. სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
7. პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
8. ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ;
9. საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სასერთიფიკატო კურსებსა თუ თრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც მეტი ექნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა);
10. სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა:

დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელს);

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც მეტი ექნება საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციები);

იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს;

იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;

საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა:

დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელს);

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, არანაკლებ 5 გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორობა/თანაავტორობა (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც მეტი ექნება საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციები);

იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;

საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება.

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც ექნება:

საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;

საზღვარგარეთ შესაბამის დარგში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დასადასტურებლად:

დარგში მუშაობის პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს, შესაბამის დარგში, წამყვან თანამდებობებზე არანაკლებ 5 წლის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით.

ინგლისური ენის ფლობის დასადასტურებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

ინგლისური ენის ფლობის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი;

საზღვარგარეთ მიღებული განათლების დიპლომი, აღიარებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

სასერთიფიკატო კურსებსა თუ თრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია ჩაატაროს საჩვენებელი ლექცია ინგლისურ ენაზე.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კონკურსანტთა შერჩევა (კონკურსანტების დაუსწრებლად);
2. პირველ ეტაპზე შერჩეული კონკურსანტების საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში იმიტირებული ლექციის ჩატარება).

კონკურსის პირობები:

საკონკურსო განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადებში;

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ძირითად კრიტერიუმებთან კონკურსანტების განაცხადების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დოკუმენტაციის გადარჩევა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ.

კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება
2015 წლის 24 დეკემბერს;
კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება
2015 წლის 25 დეკემბერს;
შედეგები გამოქვეყნდება 2015 წლის 26 დეკემბერს.

კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე:
ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73,
VII სართული, ოთახი №712.
ტელ.: 261-12-98; 2 30-86-41; 210-52-03.

ნოდარ ნათაძე: „ისლამურ სახელმწიფოს საქართველოსთან საქმე არ აქვს“

„მეშინია, რომ წაგებულმა პუტინმა არ მოიყვანოს სისრულეში თავისი განზრახვა“



მარიამ მჭედლიშვილი

ამ დღეებში ისლამური სახელმწიფოდან მომდინარე საფრთხეზე საქართველოშიც აღაპარაჯღნენ. სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ საქართველოს დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოსაგან საფრთხე არ ემუქრება.

– ისლამურმა სახელმწიფომ მთელი კავკასია თავისი გავლენის სფეროდ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, საქართველო ხალიფატის ინტერესის საგანი არ არის. ამ ხალხს საქართველოსთან საქმე არა აქვს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნოდარ ნათაძე.

მისი აზრით, საქართველოს დიდი საფრთხე რუსეთიდან ემუქრება.

ნოდარ ნათაძე:

„ნაცებისა და ქოცების ჩხუბი სიმულაციაა“

– ფარული მსოფლიო ომი დიდი ხანია მიმდინარეობს. ამ ომში რუსეთი მარცხდება. სირიაში რუსეთი იბრძვის, ფაქტობრივად, ფახიფუხობს, მაგრამ პოზიციებს კარგავს. მეშინია, წაგებულმა პუტინმა სისრულეში არ მოიყვანოს თავისი განზრახვა საქართველოს მიმართ. ეს განზრახვა პუტინმა ლავროვის პირით გაახმიანა.

ეს მუქარა დასავლეთის მიმართ ასე ჟღერს – თუ თქვენ სირიას დაარტყამთ, ჩვენ საქართველოს დავარტყამთო. არ არის გამორიცხული, რუსეთმა კახეთიდან დაგვარტყას და დასავლეთ საქართველოშიც ჩამოაგდოს ერთიორი ბომბი.

საერთოდ, რუსეთიც და ისინიც, ვინც ტერორისტული აქტები მოაწყო პარიზში, პროპაგანდისტები და ავანტიურისტები არიან. ისინი არ არიან პოლიტიკის წარმმართველები და მოვლენების ინიციატორები. რუსეთი და ისლამური სახელმწიფო ახორციელებენ ძალების დემონსტრირებას, ქმნიან ფონს.

– პოლიტიკის წარმმართველი ვინ არის?

– რუსეთს უკან-უკან ახევინებს ობიექტური პირობები. რუსეთი, აქტიურობის მიუხედავად, პასიური მხარეა.

– თუმცა, საქართველოსთვის საშიში?

– რა თქმა უნდა. რუსეთი საქართველოსთვის მთავარი საფრთხეა. რუსეთს უნდა, დაიკავოს ის ტერიტორია კავკასიაში, რომელიც დასავლეთს გზას ჩაუკეტავს შუა აზიისკენ. აზერბაიჯანი, რასაც უნდა ამბობდეს, გულის სიღრმეში რუსეთის მხარდამჭერია. კავკასიაში რუსეთის ერთადერთ მოწინააღმდეგედ რჩება საქართველო. საქართველოში რუსეთის მოწინააღმდეგეა ხალხი და არა ხელისუფლება. ჯერჯერობით, ის გვშველის, რომ მთავარი მოვლენები სირიაში ვითარდება. არ ვიცით, რა მოხდება მომავალში.

ნოდარ ნათაძის აზრით, საქართველოში შექმნილი მძიმე ფონი, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ხელოვნური დაპირისპირებაა, რუსეთს აძლევს ხელს.

– ნაცებისა და ქოცების კინკლაობა სიმულაციაა. ეს რუსეთის ხელშეწყობით ხდება. ამ ცრუ დაპირისპირების მიზანია სამოქალაქო ცემა-ტყეპის, ან რაიმე ტრაგედიის გამოწვევა. ეს ორი უარყოფითი ძალა პროვოკაციულად იქცევა. ნაცებს და ქოცებს საქმე იქამდე მიჰყავთ, რომ რუსეთი შემოვიდეს.

– რუსეთი რატომ უნდა შემოვიდეს?

– რუსეთს ახალი სამხედრო დოქტრინა აქვს. ამ დოკუმენტში წერია, რომ არეულობის შემთხვევაში რუსეთის ჯარს უფლება აქვს, თავისი მეზობლის ტერიტორიაზე შევიდეს.

– საქართველოს ხელისუფლება ხომ ჰყავს?

– საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება, როგორც წინა, არის ნულოვანი. ეს ხელისუფლება ქვეყანას ვერაფერს შველის. საქართველო დაამსგავსეს საოპერაციოდ დაწვენილ ავადმყოფს. „ოცნებაც“ და ნაცმოძრაობაც ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. მათ შორის სხვაობა ისაა, რომ ნაციონალები გაცხადებული მასობრივი მკვლელები არიან. ქოცებს ჯერჯერობით ეს არ ჩაუდენიათ, თუმცა, არაფერს აკეთებენ. მთელ მსოფლიოში სესხის პროცენტი 3 პროცენტს არ აღემატება. ჩვენთან კრედიტები უძვირესია და მისი პროცენტები 17-მდეა. ეს მაინც ხომ შეეძლოთ მოეგვარებინათ? ამისათვის თითიც არ გაუნძრევიათ. მარტო ილაპარაკეს.

ამიტომ, საარჩევნოდ აუცილებლად არის შესაქმნელი პატიოსანი ძალებისგან შემდგარი ფართო კოალიცია. ამ ძალებს შეიძლება სხვადასხვა საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეთ. მთავარზე უნდა შევთანხმდეთ, გავერთიანდეთ და ქვეყანას ვუშველოთ.

გიორგი თავდგირიძე: „ნატო ყველაფერში გვეხმარება“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

შუალებები: „ბუკები“ (უკრაინისაგან ვიყიდეთ) „სპაიდერები“, „კალჩუგა“, „იგლები“, „გრომები“ და კიდევ სხვა ცალკეული სისტემები.

ხარვეზი ისაა, რომ იარაღი შეძენილი გვქონდა, მაგრამ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ ერთობლიობაში ვერ იმუშავა. ცალკეულ უბანზე იმუშავა, ცალკეული რუსული ვერტმფრენები ჩამოვაგდეთ, მაგრამ მთლიანად სისტემამ ისე ვერ იმუშავა, საქართველოს ცაზე უსაფრთხოების ქოლგა რომ შეექმნა.

– 2008 წელს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას რომ ემუშავა, ჩვენთვის სასურველი შედეგი იქნებოდა?

– მხოლოდ ამ სისტემაზე არ იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ ჩვენ

გვექნებოდა შეუვალი ცა და ჩვენი პოლიტიკოსები ცოტა მოგვიანებით შეშინდებოდნენ. ეს იყო საკმაოდ დიდი ზეწოლა საქართველოს საზოგადოებაზე. ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ხარვეზმა პანიკა გამოიწვია არა მხოლოდ პოლიტიკურ წრეებში, არამედ საზოგადოებაში. შემართება დაკარგა არა მხოლოდ ჯარმა, არამედ ერმაც.

– გამართული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შემთხვევაში, 2008 წელს, რუსების ტანკები, საქართველოს ტერიტორიაზე კილომეტრები რომ ეჭირათ, მშვიდად ვერ იგრძნობდნენ თავს?

– საქართველო საკმაოდ რთული რელიეფის ქვეყანაა და თუ ამერიკის დახმარებით ტანკსაწინააღმდეგო სისტემას გავმართავთ, შევიძენთ იარაღს და მოვამზადებთ ქვედანაყოფებს, თითქმის გაუვალი იქნება საქართველოს ტერიტორია ჯავშანტექნიკისთვის. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი უახლოეს ხანში.

* * *

გიორგი თავდგირიძის განცხადებით, ნატოსთან სიღრმისეული ურთიერთობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის შექმნა, სადაც ქართული მმართველობა იქნება, მაგრამ ქართველი და ნატოს ქვეყნების ოფიცრები (რომლებიც მოწვეული იქნებიან) ერთობლივად დაამუშავებენ ტაქტიკურ და ოპერატიულ ამოცანებს.

– ეს უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია. საქართველოში ტაქტიკურ პრობლემატიკას, სტრატეგიას, ოპერატიულ ხელოვნებას ადგილზე შევისწავლით და ჩვენ გვექნება ჩვენი ძლიერი სამხედრო სკოლა, – აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

– ბოლო დროს ატლანტიკური საბჭოს წარმომადგენლების ვიზიტით რა შედეგი მივიღეთ?

– პრაქტიკულ შედეგებს უნდა დაველოდოთ. დიალოგის პროცესში ვართ. მართალია, ნატოს წევრი არ ვართ, მაგრამ თანამშრომლობის განსაკუთრებული სტატუსით ვსარგებლობთ. შესაბამისად, ბევრ პროცესზე მიგვიწვდება ხელი და ბევრ დისკუსიაში ვღებულობთ მონაწილეობას. ევროატლანტიკურ სივრცეში პოლიტიკა ასე იქმნება.

თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა აღნიშნა, რომ ნატოში გაჩნდნენ ჩვენი ლობისტები: – ნატოში გაჩნდნენ ჩვენი ლობისტები, გარკვეული კუნძულები, რომლებიც ნატოში ჩვენს დაუყოვნებლივ გაწევრიანებას მხარს უჭერენ.

– ლობისტები ადრეც გვყავდა. ამერიკა ღიად ლობირებდა ჩვენს ნატოში გაწევრიანებას, მაგრამ ვერ გავწევრიანდით. უფრო მეტი ლობი გვყავს ახლა, ვიდრე სააკაშვილის დროს?

– ამერიკა ცალკე ქვეყანაა, რომელიც ლობირებდა საქართველოს, მაგრამ მხოლოდ ამერიკა არ ღებულობს გადაწყვეტილებას.

– საფრანგეთსა და გერმანიასთან როგორ გვაქვს საქმე? ისინი იყვნენ ჩვენი ნატოში მიღების წინააღმდეგი.

– ნელ-ნელა ფართოვდება წრე, რომელიც მხარს გვიჭერს ნატოში გაწევრიანებაში. მით უმეტეს, პროცესები ვითარდება დინამიურად. ჩვენ არ ვიცით, ვარშავის სამიტის წინ რა სურათი გვექნება და გაირკვევა, გვღებულობენ ნატოში თუ არა. თუმცა, ჩვენ საკმაოდ დაცულები ვართ.

საფრანგეთმა თავის თავზე აიღო, რომ დაეხმარება საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის აწყობასა და გაშვებაში. აშშ-მ თავის თავზე აიღო საქართველოს ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით უზრუნველყოფა და ამ ტიპის ძალების მომზადება

* * *

თავდაცვის მინისტრის მრჩეველი საფრანგეთში მომხდარ ტერაქტს და ზოგადად ტერორიზმის საფრთხეებსაც შეეხო.

– ბატონო გიორგი, საფრანგეთში მომხდარს როგორ აფასებთ?

– ეს არის გარკვეული შედეგი ხანგრძლივი პროცესებისა. არსებობს ქვეყნები, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთ ტერიტორიებზე კონსტიტუციური იურისდიქციის განხორციელებას. ადრე ავღანეთი იყო ტერორიზმის ბუდე, ახლა ისლამური სახელმწიფოს მიერ დაკავებული ტერიტორია არის თეთრი ლაქა, სადაც იგეგმება და მზადდება ტერორისტული აქტები.

– ტერორიზმის გამო ნატო და, ზოგადად, დასავლეთის ქვეყნები დიდი დილემის წინაშე დგანან.

– მსოფლიოში არის ორი სახელმწიფო, რომელიც თავისი არსებობით და თავისი პოლიტიკით ხელს უწყობს ტერორიზმს. ეს არის რუსეთი, რომელიც მთავარ ტერორისტად გამოდის და დესტრუქციული ძალაა. მეორეა ის ტერიტორია, რომელიც ისლამურ სახელმწიფოს უჭირავს.

ისინი არ არიან ინტეგრირებული მსოფლიო პროცესებში, პატივს არ სცემენ არც მორალურ-ეთიკურ და არც – საერთაშორისო კანონმდებლობას და ცდილობენ, იარაღის ძალით დაიკავონ მაყოფილონ თავიანთი ინტერესები.

ჩინეთი და ირანი გარკვეულ წრეებში განიხილებოდნენ დესტრუქციულ ძალად, რომლებსაც შეეძლოთ გამოეყენებინათ ძალისმიერი მეთოდები თავიანთი პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ დღეს გამოჩნდა, რომ მათი მთავარი მიზანია მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრირება, მისი თამაშის წესებით თამაში.

– თუმცა, ჩინეთი გარკვეულ კავშირებში არის რუსეთთან გაერთიანებული.

– ეს არაფერს წყვეტს. საფრანგეთიც არის გარკვეულ კავშირში რუსეთთან. ჩინეთი რუსეთთან არანაირ სამხედრო კავშირში არ არის, არ ახდენს თავისი ძალის დემონსტრირებას და პრივილეგიების მოპოვებას ძალის გამოყენებით არ ცდილობს.

– რუსეთი თითქოს ებრძვის ტერორიზმს.

– რუსეთის ფარისევლური პოლიტიკა გრძელდება. რუსეთმა შექმნა ახალი დესტრუქციული ტალღა, რომელმაც ძალადობის ახალი ტალღის აგორება გამოიწვია. იმის მაგივრად, რომ დასავლეთთან ერთად ემოქმედა, ცდილობს გავლენის მოპოვებას გეოპოლიტიკურ სივრცეში.

– შეიძლება პარიზის ტერაქტებში რუსეთის ხელი ერიოს?

– არსებული ინფორმაციით, გამიჭირდება, პირდაპირ კავშირზე რომ ვისაუბრო, მაგრამ თავისი პოლიტიკის გამო, ის ირიბად პასუხისმგებელია.

– რომის პაპმა განაცხადა, რომ პარიზის ტერაქტები მესამე მსოფლიო ომის ნაწილია. მართლა მესამე მსოფლიო ომის კონტურები ჩანს?

– გააჩნია, მესამე მსოფლიო ომს რას ვეძახით. ეს არ არის მსოფლიო ომი. მსოფლიო ომი ნიშნავს, რომ მსოფლიოს ქვეყნები არიან ჩართული.

– საქართველოს ხომ არ ემუქრება ტერორიზმის საფრთხე?

– ისლამური სახელმწიფოსთვის საქართველო არის უცხო ტერიტორია.

– საქართველოდანაც ხომ არიან წასულები?

– ჰო, მაგრამ საქართველოდან წასული ნებისმიერი პირი არის მკაცრი კონტროლის ქვეშ. საფრანგეთსა და ევროპას კი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰქონდათ ისლამურ სამყაროსთან კავშირი.

– ჩემი ახლობელი იყო საფრანგეთში – პარიზსა და სხვა ქალაქებში და მითხრა, საფრანგეთი კი არ არის, არაბეთია, ყველა ჩადრითა და წვერებით დადისო.

– საფრანგეთს საკმაოდ მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკა ჰქონდა.

– მარი ლე პენის მოწოდება საზღვრების დახურვის შესახებ შედეგს გამოიღებს?

– არა. საფრანგეთმა და გერმანიამ ჩაუყარეს საფუძველი ევროკავშირს – ერთიან გლობალურ სივრცეს. ეს არის ეკონომიკური კავშირი და მომგებიანი ეკონომიკური სივრცე. მთავარი ეკონომიკური წერტილი ეს არის. ლე პენის განცხადებები, რომ შენგენის ზონიდან გავლენ და საზღვრები უნდა დაიკეტოს, უშედეგოა.

– თუ ხალხი მხარს დაუჭერს?

– პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთს ჰყავდა პრეზიდენტი კლემანსო, რომელიც იძახოდა, ომი მინდა, ომი მინდაო და რა ზარალი ნახა საფრანგეთმა პირველი მსოფლიო ომის შედეგად, ყველას არ ავიწყდება.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2015, 17 ნოემბერი, №270

ობამა — პუტინი: საუბარი ფინჯანი ყავის თანხლებით

15 ნოემბერს, ანტალიაში მიმდინარე დიდი ოცეულის შეხვედრაზე, აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების არაფორმალური საუბარი შედგა.

როდესაც პლენარულ სხდომაზე შესვენება გამოცხადდა, პუტინი და ობამა მოულოდნელად ყავის მაგიდას მიუსხდნენ და საუბარი გააჩაღეს.

პუტინს გვერდით მისი თანაშემწე იური უშაკოვი ეჯდა, ობამას კი – მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სიუზან რაისი.

პუტინს სურდა, საუბარი მხოლოდ სირიის გარშემო წარმართულიყო, ობამამ კი ჯერ დონბასში გართულებული ვითარების განხილვა მოინდომა.

ამ ინფორმაციას რუსეთის დუმის საგარეო კომიტეტის ხელმძღვანელი პუშკოვიც ადასტურებს. თავის ტელე-ინტერვიუში მან გაოცებით აღნიშნა, ასეთ უმძიმეს სიტუაციაშიც კი ამერიკის პრეზიდენტმა უკრაინისათვის მოიცალაო.

როგორც ჩანს, კრემლში დარწმუნებული იყვნენ, რომ პარიზის ტერაქტების შემდეგ უკრაინული პრობლემა მეორე პლანზე გადავიდოდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა.

პუტინი უკმაყოფილებას ვერ მალავდა, თუმცა, უკრაინის გარშემო საუბარი მაინც წარიმართა.

ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მინსკის სამშვიდობო პროცესი აუცილებლად ბოლომდე უნდა მივიდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვრის ყველა მონაკვეთზე უკრაინელი მესაზღვრეების კონტროლი უნდა აღდგეს. ამას გარდა, დონბასი ყველა უცხოურმა ფორმირებამ უნდა დატოვოს.

პუტინის სიტყვებზე, ჩვენი არმია იქ არ იმყოფებაო, ამერიკის პრეზიდენტმა მიუგო:

– ჩვენ შეგვიძლია წარმოგიდგინოთ ფოტომასალა, რომელიც დონბასში რუსული რეგულარული არმიის ნაწილების ყოფნას ადასტურებს.

„დოიჩე ველეს“ ცნობით, უკრაინული პრობლემის განხილვა დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდა. რაზე მოილაპარაკეს პრეზიდენტებმა, ზუსტად არავინ იცის. ცალკეული ინფორმაციით, პუტინი მინსკის პროცესის საბოტირებას ცდილობს. ერთი მხრივ, ის აცხადებს, რომ მინსკის პროცესს ალტერნატივა არ გააჩნია, მეორე მხრივ კი, კატეგორიულად უარყოფს დონბასში რუსული ჯარის ყოფნას.

– ეს კი იმას ნიშნავს, რომ პუტინი ჯარის გაყვანას არ აპირებს, – იტყობინება „ცენზორ ნეტი“.

პრეზიდენტების საუბრის ძირითადი თემა სირიაში მშვიდობის აღდგენას მიეძღვნა.

პუტინმა და ობამამ ხაზი გაუსვეს იმას, რომ ვენის შეხვედრის შემდეგ რუსეთ-აშშ-ს პოზიციები ერთმანეთს დაუახლოვდა.

კერძოდ, ორივე მხარე ერთსულოვანია იმაში, რომ კონფლიქტი სირიაში პოლიტიკური მეთოდებით უნდა მოგვარდეს. პუტინის სიტყვებს, რომ ამ დარეგულირებაში ძირითადი როლი თავად სირიელებს უნდა ეკუთვნოდეთ, ობამა დაეთანხმა.

რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები ასევე ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ აუცილებელია დროებითი გარდამავალი მთავრობის შექმნა, სადაც ყველა პოლიტიკური ძალის (ბუნებრივია, გარდა ექსტრემისტებისა) წარმომადგენლები შევლენ. ამერიკის პრეზიდენტის წინადადებას, რომ სწორედ ამ მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ახალი კონსტიტუცია და მიიღოს ახალი საარჩევნო კანონი, პუტინმა დროული და გონივრული უწოდა.

ამის შემდეგ ასადის საკითხი დადგა. პუტინმა კვლავ მოითხოვა, რომ დროებით გარდამავალ მთავრობას სათავეში ასადი ჩაუდგეს. ობამა ამას არ დაეთანხმა. მან თქვა, რომ დროებითი გარდამავალი მთავრობის მეთაური ავტორიტეტული პიროვნება უნდა იყოს, ისეთი, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას შეძლებს. ასადი კი ასეთი არ არის.

ამ საკითხზე რუსეთისა და აშშ-ის ლიდერები ამჯერადაც ვერ შეთანხმდნენ.

სამაგიეროდ, სრული ერთსულოვნება იყო იმაში, რომ ისლამისტების წინააღმდეგ რუსეთმა და ამერიკამ კოორდინირებულად უნდა იმოქმედონ.

ასე დასრულდა რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების არაფორმალური საუბარი ყავის მაგიდასთან.

ევროკავშირი რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს ძალაში დატოვებს

რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები ძალაში რჩება. ამის შესახებ ევროკავშირის ლიდერებმა ჟან-კლოდ იუნკერსმა და დონალდ ტუსკმა განაცხადეს.

– ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მინსკის ხელშეკრულებები ბოლომდე არ შესრულდება, – თქვა ტუსკმა.

იუნკერსმა დაამატა, რომ მინსკის ხელშეკრულებების შესრულება დონბასიდან რუსული ჯარების გაყვანას და რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე უკრაინელი მესაზღვრეების კონტროლის აღდგენას ნიშნავს.

– ამ პუნქტის შესრულების გარეშე არჩევნებზე ან დონბასის სტატუსზე ლაპარაკი გამორიცხულია. სანქციებიც გაგრძელდება, – თქვა იუნკერსმა.

ფრანგულმა თვითმფრინავებმა ისლამისტების დედაქალაქი დაბომბეს

ფრანგულმა თვითმფრინავებმა ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქი რაკჰა დაბომბეს.

განადგურებულია ტერორისტების მთავარი შტაბი, დანგრეულია უამრავი შენობა. დაბომბვებისას დაიღუპა 56 ტერორისტი.

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი აცხადებს, რომ საფრანგეთის შეიარაღებული ძალები ისლამისტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებს უფრო ფართო მასშტაბებით განახორციელებენ.

პარიზის ტერაქტის შემდეგ სულ უფრო მეტი ევროპული სახელმწიფო გამოთქვამს სურვილს, ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებას.

– ჩვენ მზად ვართ, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში ჩავებათ, – განაცხადა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იენსენმა.

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ ისლამისტი ტერორისტების დამარცხება მუსლიმანური ქვეყნების დახმარების გარეშე შეუძლებელია.

უკრაინულმა არმიამ სეპარატისტებს ულტიმატუმი წაუყენა

დონბასში სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა უკრაინულ ფორმირებებს ცეცხლი 14-ჯერ გაუხსნეს. ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა შირიკინოსთან (მარიუპოლის მახლობლად), პესკისთან (დონეცკის მახლობლად). დაღუპულია 1 უკრაინელი ჯარისკაცი, 6 დაჭრილია.

უკრაინის გენშტაბმა „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების“

მეთაურებს ულტიმატუმი წაუყენა.

– თუკი სროლები არ შეწყდება, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, მძიმე ტექნიკა კვლავ პოზიციებზე დავაბრუნოთ, – თქვა უკრაინის გენშტაბის წარმომადგენელმა სელეზნიოვმა.

მისი განცხადების თანახმად, სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები იყენებენ „გრადებს“, „ლიონებს“ და ა.შ. სელეზნიოვმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინული მხარე ამასთან შეგუებას არ აპირებს.

უკრაინელი ექსპერტი ვადიმ კარასიოვი კი თვლის, რომ ფართომასშტაბიანი ომის განახლება ამ ეტაპზე არ მოხდება.

– არც უკრაინა, არც რუსეთი, არც დასავლეთი დღეს ომისთვის მზად არ არიან. ამიტომაც ფართომასშტაბიანი ომი არ დაიწყება. იქნება ლოკალური ხასიათის შეტაკებები, არც ომი, არც ზავი. დღეს დონბასს ცხოვრება ამ რეჟიმში მოუწევს, – აცხადებს კარასიოვი.

კარასიოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მინსკის პროცესი ჩაიშალა და ახლა არჩევნებზე ან დონბასის სტატუსზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება.

– პუტინს თავად სურს მინსკის პროცესის ჩაშლა, მაგრამ ისე, რომ ამაზე პასუხისმგებლობა უკრაინას დაეკისროს! ახლა მთავარია, მთელს მსოფლიოს გავაგებინოთ, სინამდვილეში ვისი ბრალია ყოველივე, რაც დღეს დონბასში ხდება! – თქვა კარასიოვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შეავასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალ-სახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სკოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

● გამაჯანსაღებელი, ანტიცელულიტისა და სარელაქსაციო მასაჟი. ტელ: 555-25-95-68.

იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

30 წლის შემდეგ

უნგრეთი – ნორვეგია 2:1

1:0 პრისკინი (14), 2:0 ჰენრიკსენი (83სკ), 2:1 ჰენრიკსენი (87)

უნგრეთი: კირალი, ლანგი, გუზმიცსი, ფიოლა, კადარი, ელეკი (პინტერი 46), კლეინჰეისლერი (ნემეტი 75), ნაგი, ჯუზაკი, ლოვრენცისი, პრისკინი (ბოდე 62)

ნორვეგია: ნილანდი, ფორენი, ჰოვლანდი, ელაბდელაუი, ალისამი, ტეტი, იოჰანსენი, ოდეგაარდი (ჰელენდი 46), სკელბრედი (ბერგეტი 80), ელიუნუსი (პედერსენი 46), ჰენრიკსენი

კანონზომიერია საბოლოო შედეგი: უნგრელები როგორც პირველ მატჩში, ასევე მეორეში აშკარად სჯობდნენ ნორვეგიელებს და მადიარებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მიიღეს. უნგრეთი 21-ე გუნდია, რომელმაც ამის გაკეთება მოახერხა – დარჩა კიდევ 3 ნაკრები.

ბუდაპეშტური მატჩი გაცილებით თავსასაერო იყო, ვიდრე პირველი. ამის მიზეზი სკანდინავიელთა მონდომება იყო, რომლებსაც საშინაო მატჩი წაგებული ჰქონდათ და სერიაში ჩამორჩენის აღმოფხვრას ცდილობდნენ.

მონდომება ერთია, საღამოს მმართველი კი მაინც უნგრეთის ნაკრები იყო, რომელიც უკვე მე-14 წუთზე დაწინაურდა და სტუმრები კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააყენა.

შესაძლოა, სიტუაცია სხვაგვარი ყოფილიყო, პირველი ტაიმის ბოლოს ჰოვლაბდს ბურთი კირალის კარის ძელისთვის რომ არ გაერტყა, მაგრამ ფეხბურთმა სიტყვა „შესაძლოა“ არ იცის – გასატანი უნდა გაიტანო. სწორედ ეს ვერ მოახერხეს ნორვეგიელებმა. უფრო სწორად, როდესაც მოახერხეს, მატჩს აზრი დაკარგული ჰქონდა.

მეორე ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები. 83-ე წუთზე კი მასპინძლებს გაუმართლა – ჰენრიკსენმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მართალია, ჰენრიკსენმა საკუთარი შეცდომა 4 წუთში გამოასწორა და ბურთი მეტოქის კარშიც გადაგზავნა, მაგრამ საბოლოო შედეგზე ამას არ უმოქმედია.

1986 წლის შემდეგ უნგრეთი პირველად გავიდა დიდ საფეხბურთო ფორუმზე.

ფიფამ ნეპალისა და ლაოსის ფედერაციების პრეზიდენტები დასაჯა

ფიფას ეთიკის კომიტეტმა ნეპალის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტ განეშ ტაპას ფეხბურთში ნებისმიერი სახით მოღვაწეობა 10 წლით აუკრძალა.

ამ ინფორმაციას ფიფას პრესსამსახური ავრცელებს. მათი ცნობით, ტაპა 20.000 შვეიცარიულ ფრანკსაც გადაიხდის.

კორუფციაში ბრალდების გამო, ტაპა 2014 წლის ოქტომბერში თანამდებობას დროებით ჩამოაშორეს. იმავე წლის ნოემბრის დასაწყისში კი ფიფამ ფეხბურთში მოღვაწეობა 4 თვით აუკრძალა. შემდეგ ეს ვადა კიდევ უფრო გაიზარდა და საბოლოოდ, 10 წელს მიაღწია. ტაპას ბრალი ფინანსურ დარღვევებსა და სხვა ჩინოვნიკისგან ფულის აღებაში ედება.

ფიფას ეთიკის კომიტეტმა ასევე ლაოსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიპხეთ სიხაჩაკრი დასაჯა, რომელიც ფეხბურთს ორი წლით არის ჩამოშორებული, ხოლო ჯარიმის სახით, დამატებით 40.000 შვეიცარიული ფრანკის გაღებაც მოუწევს.

დღეს გორში საქართველო შვედეთს ხვდება

რას გვპირდება ალექსანდრე ჩივაძე



დღეს გორში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შვედეთს დაუხვდება. მატჩამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ პრესკონფერენცია გამართა.

ალექსანდრე ჩივაძე:

– საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტური 8 ნოემბერს გაიმართა, ამავე დღეს ლეგიონერებსაც ჰქონდათ მატჩები თავიანთ კლუბებში. ბოლო მომენტამდე არ მქონდა საბოლოო შემადგენლობა დასახელებული, რადგან შესაძლებელი იყო, რომელიმე მოთამაშე ტრავმის გამო გამოგვკლებოდა.

დაზიანებების გამო ვერ დაგვეხმარა გიორგი თევზაძე, ასევე მათე კვირკვია, ხოლო გიორგი აბურჯანიას დისკვალიფიკაცია ჰქონდა. რაც შეეხება მეტოქეს: ჩვენ ვნახეთ შვედეთის ნაკრების თამაში და გამოჩნდა, რომ სკანდინავიელებს ორგანიზებული გუნდი ჰყავთ, თუ ნაკრები შვედებთან წარმატებით ითამაშებს, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს შევინარჩუნებთ.

– ესპანეთის ნაკრებთან დიდი ანგარიშით მარცხი რამ განაპირობა?

– ჩვენი ფეხბურთელების ინდივიდუალურმა შეცდომებმა. ვფიქრობ, მთავარი მიზეზი ესაა.

– ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში რატომ ვერ მოხვდა გიორგი გოროზია?

– ამ ეტაპზე პრიორიტეტი სხვა ფეხბურთელებს მივანიჭეთ.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ სანამ თეორიული შანსები არსებობს, მანამდე გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ საინტერესოა, რა შანსებზე საუბრობს ალექსანდრე ჩივაძე, როდესაც 5 მატჩში უკვე 3 მარცხი აქვთ და ის 2 მოგებაც ჯგუფის აუტსაიდერებთან, სან მარინოს და ესტონეთის ნაკრებთან გვაქვს, ხოლო ჩვენ წინ სამი წაუგებელი გუნდი იკავებს ადგილს.

ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე ალექსანდრე ჩივაძე ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილით ცდილობდა და არა საუკეთესო მეორეადგილოსნით, რაც ასევე არარეალური ჩანს.

სატუნინო ცხრილი:

1.ხორვატია	4	4	0	0	12:0	12
2.ესპანეთი	4	3	1	0	13:3	10
3.შვედეთი	3	2	1	0	9:1	7
4.საქართველო	5	2	0	3	8:11	6
5.ესტონეთი	6	1	1	4	2:15	4
6.სან მარინო	6	0	1	5	1:15	1

ცინცაძის გუნდმა მოიგო

საკალათბურთო ლეგიონის ამბები

საფრანგეთის ჩემპიონატში მე-8 ტურის მატჩები გაიმართა. გიორგი ცინცაძის გრავლინმა ჩემპიონატში მე-6 გამარჯვება იზეიმა.

გრავლინელები მონაკოს შეხვდნენ და 72:57 მოიგეს, ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე მხოლოდ 13 წუთი გაატარა და მხოლოდ 1 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

გრავლინმა 6 მოგება და 2 მარცხი მოაგროვა და მე-3 ადგილზეა.

თურქეთში, მანუჩარ მარკოიშვილის დარუშაფაკამ იქაურ ჩემპიონატში მორიგი მატჩი მოიგო და ლიდერებში გაერია. დარუშაფაკელები სტუმრად კონიასპორს შეხვდნენ და 91:76 მოიგეს.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და 14 წუთში 9 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. მანუჩარმა 3-ვე ორქულიანი და 3-დან 1 სამქულიანი ჩააგდო. ისიც ვთქვათ, რომ ქართველი მცველი პირველი ტაიმის შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა.

4 მოგებით და 2 მარცხით დარუშაფაკა მე-2 ადგილზეა, მომდევნო მატჩს 22 ნოემბერს შინ, თანაქალაქელი გალათასარაის წინააღმდეგ გამართავს.

სწორედ გალათასარაის ესტუმრა ვიქტორ სანიკიძის თედ კოლეჯი და 65:75 დამარცხდა.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და ორივე გუნდის რიგებში ყველაზე მეტი სათამაშო დრო ერგო. 37 წუთის განმავლობაში, სანიკიძემ 8 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. ვიქტორმა 7-დან 3 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, 4-ვე სამქულიანი ააცილა.

1 მოგებით და 5 მარცხით სანიკიძის გუნდი ცხრილის ბოლოში იმყოფება, მომდევნო მატჩს კი 21 ნოემბერს, შინ, ბანვითის წინააღმდეგ ჩაატარებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრის, ნიკა მეტრეველის გუნდმა ბეტალენდ კაპო დორლანდომ იტალიის სერია ა-ში მორიგი მატჩი გამართა და 65:69 დათმო. ორლანდოელების მეტოქე ვანოლი გახლდათ.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე მხოლოდ 9 წუთი გაატარა და 8 ქულა მოაგროვა. მეტრეველმა 4-დან 3 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

კაპო დორლანდოს 3 მოგებით და 4 მარცხით მე-11 ადგილი უკავია, მომდევნო მატჩს კი 22 ნოემბერს ტურინში მანიტალთან ჩაატარებს.

ისევ დამარცხდა ბექა ბურჯანაძის ლეიმა ბასკეტი, რომელიც ესპანეთის რანგით მეორე ლიგაში აუტსაიდერთა შორისაა.

ამჯერად ლაკორუნიელებმა შინ პენას ჰუესკას უმასპინძლეს და 72:76 დათმეს მატჩი. ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და 28 წუთში 13 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ბექამ 7-დან 5 ორქულიანი და 3-დან 1 სამქულიანი ჩააგდო.

ბურჯანაძის გუნდს 8 ტურის შემდეგ 7 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილის ფსკერზე რჩება, მომდევნო მატჩს კი 21 ნოემბერს, სტუმრად, ასევე აუტსაიდერ პრატ ხუვენტუდთან ჩაატარებს.

უშედეგოდ დაიწყო დუდა სანაძის სან დიეგომ ამერიკული სტუდენტური ლიგის სეზონი.

პირველ არასაკონფერენციო მატჩში კალიფორნიელები თანაშტატელ სამხრეთის უნივერსიტეტის გუნდს შეხვდა და უიმედოდ – 45:83 წააგო.

სანაძეს სანდიეგოელთაგან საუკეთესო შედეგი ჰქონდა, თუმცა სროლებიც ბევრი ააცილა. დუდამ 6-დან 5 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 8 სამქულიანი კი ააცილა და 12 ქულას 5 მოხსნაც წაამატა.

ტორეროსს მორიგი მატჩი 17 ნოემბერს ელის, როდესაც დასავლეთ მიჩიგანის გუნდს ესტუმრება.

ენისეი – ვითა 83:73

(17:10; 23:22; 21:16; 22:25)

ვითიბი ლიგის რეგულარული სეზონის მე-8 ტურში თბილისის ვითამ მე-8 მარცხი განიცადა. კრასნოიარსკელებმა უკვე მატჩის სტარტზევე დაანახეს ქართველებს, რომ მოედანზე ისინი უნდა იყვნენ ბატონები.

თუმცა, ვითამ მაინც გვარიანად ანერვიულა მეტოქე. არადა, ქართული კლუბი კრასნოიარსკში არასრული შემადგენლობით ჩავიდა – გუნდში რეფორმა მიდის, ის რამდენიმე კალათბურთელმა დატოვა და რუსეთს 8 კალათბურთელის ამარა ეწვია. აქედან რალსტონ ტერნერი მოედანზე არ გასულა, ხოლო ლევან შენგელიამ მხოლოდ 13 წუთი ითამაშა. დანარჩენი დრო 6 კალათბურთელზე გადანაწილდა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში წარმატებაზე ფიქრი ძნელია.

ვითას მერვე მარცხი

ციმბირელებმა ფავორიტის სტატუსის დამტკიცება პირველივე წუთებიდანვე დაიწყეს. რამდენიმე სწრაფი შეტევის შემდეგ ენისეი წინ გაიჭრა. ვითა დიდხანს ელოდა სამქულიანების შანსს და ეს მხოლოდ მეორე მეოთხედის ბოლოს მოახერხა, როდესაც კონსტანტინ ანიკეენკომ და ირაკლი ჩლაიძემ (2-ჯერ) პერიმეტრიდან ზუსტად ისროლეს. ამის წყალობით ვითა შესვენებაზე 8-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა – 32:40.

მესამე მეოთხედის დასაწყისში ენისეიმ 8:0 გაქცევა მოაწყო და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა, მაგრამ ვითა არ გატყდა და ჩლაიძის მონდომების შედეგად სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანა – 70:74.

თუმცა, რეალურ ინტრიგამდე საქმე არ მივიდა – ტონი ტეილორმა იქვე უპასუხა ვითელებს, ხოლო დევიდ კენედის 2 სწრაფი გარღვევის შემდეგ მატჩის ბედიც გადაწყდა.

აღსანიშნავია ირაკლი ჩლაიძის 24 ქულა, რაც 6 სამქულიანის დამსახურებაც არის. ვითელთა მცველმა ტრიბუნაზე შეკრებილი ციმბირელი გულშემატკივრების პატივისცემა დაიმსახურა.

ხელბურთში ქალთა მსოფლიო თასს თბილისი უმასპინძლებს

ბუქარესტში მიმდინარე ევროპის ხელბურთის ფედერაციის კონგრესმა გადაწყვიტა, რომ 2016 წლის საერთაშორისო სანაკრებო ტურნირი, ქალების მსოფლიო თასი, 8-13 მარტს თბილისში გაიმართება.

რუმინეთის დედაქალაქში ასევე მოეწყო 20-წლამდელ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატისა და ამავე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირების წილისყრა.

ქართველ ჭაბუკთა ნაკრების მეტოქეები, 8-10 აპრილს, იქნებიან სერბეთი, ისრაელი და საბერძნეთი, ხოლო გოგონათა ნაკრებს თამაში მოუწევს 22-24 მარტს, მონტენეგროსა და უკრაინის წინააღმდეგ.

ორივე ჯგუფიდან ფინალურ ტურნირზე თითო გუნდი გადის.

რაც შეეხება მასპინძლებს, ევროპის ხელბურთის ფედერაცია ამას ორშაბათამდე გადაწყვეტს.

გოგონებში მასპინძლობის პრიორიტეტი მონტენეგროს აქვს, ჭაბუკებში კი დიდი შანსია, რომ შესარჩევი ტურნირი საქართველოში გაიმართოს.

თბილისის ტურნირის მონაწილეთაგან ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ერთი გუნდი – საქართველოს ნაკრები. დანარჩენებს ევროპის ხელბურთის ფედერაცია შემდეგი ქვეყნებიდან შეარჩევს: ბელგია, ბოსნია, ბულგარეთი, კვიპროსი, ფარერები, ესტონეთი, ლატვია, ირლანდია, კოსოვო, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, მოლდოვა, მალტა, მონაკო, აზერბაიჯანი, ბრიტანეთი, საბერძნეთი, ისრაელი.

მონაწილეთა ასაკი ჯერჯერობით განსაზღვრული არაა – სავარაუდოდ, ეს იქნება 25-წლამდელთა ტურნირი. საბოლოოდ, მონაწილეთა ასაკი, რაოდენობა (6 ან 8 გუნდი) და ყველა მონაწილე ნაკრები, ცნობილი უახლოეს დღეებში გახდება.

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია უახლოეს 2 წელიწადში კიდევ ორ დიდ საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს: 2016 წლის აგვისტოში 18-წლამდელ ჭაბუკთა ევროპის პირველობას და ერთი წლის შემდეგ კი – ცხრამეტწლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს.

შედეგები

ფეხბურთი

15 ნოემბერი

ეჩ-2016. პლეი ოფი

უნგრეთი-ნორვეგია 2:1
ეჩ-2017 შესარჩევი ეტაპი ..... (21)
მაკედონია-საფრანგეთი 2:2
სან მარინო-ესტონეთი 1:2

ესპანეთი.
სეგუნდა დივიზიონი

სარაგოსა-ვალიადოლიდი 0:2
ალმერია-პონფერადინა 1:1
კორდობა-ჰუესკა 1:1
ლიაგოსტერა-ნუმანსია 2:1
ოვიედო-ხიმნასტიკი 2:0
ოსასუნა-მალიორკა 2:1

იტალია.
სერია ბ

სპეცია-კალიარი 0:3
ასკოლი-პერუჯა 1:0
აველინო-ლატინა 3:1
ბრეშა-ტრაპანი 3:0
კომო-პესკარა 0:2
ლანჩანო-კროტონე 1:1
სალერნიტანა-ნოვარა 1:0
ტერნანა-ენტელა 1:2
ჩეზენა-ბარი 0:2

ჩეხეთი. თასი

პლზენი-ბრნო 2:1

კალათბურთი

16 ნოემბერი

ნბა. ჩეგელიჰელი სეზონი

მინესოტა-მემფისი 106:114
შარლოტი-პორტლენდი 106:94
ატლანტა-იუტა 96:97
ოკლაჰომა-ბოსტონი 85:100
საკრამენტო-ტორონტო 107:101
ლეიკერსი-დეტროიტი 97:85

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი საკუთარი ტუალეტით დადის

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი ქვეყანაში მოგზაურობის დროს პერსონალური მობილური ტუალეტით გადაადგილდება, რომელიც მის თანმხლებ ერთ-ერთ ავტომობილშია მოთავსებული. საკუთარი ტუალეტი ყოველთვის მის განკარგულებაშია, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს – სამხედრო ბაზაზე თუ რომელიმე ქარხანაში.

– ტუალეტები კიმ ჩენ ინის არა მხოლოდ პირად ტრანსპორტშია მოთავსებული, არამედ საგანგებო ტრანსპორტშიც, რომლებიც მთიან ადგილებში გადაადგილებისთვისაა აუცილებელი. როგორც წესი, ბადრაგში რამდენიმე ავტომობილია, ამიტომ ვერავინ იტყვის, თუ ზუსტად რომელ მანქანაშია ტუალეტი, – განაცხადა კიმ ჩენ ინის გარემოცვასთან დაახლოებულმა ინფორმირებულმა პიროვნებამ.

აღნიშნული ინფორმაცია ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან დაახლოებულმა სხვა ანონიმურმა წყარომაც დაადასტურა.

– ის იძულებულია მთელ ქვეყანაში იმოგზაუროს და ამიტომ მას ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს პირადი ტუალეტი. ჩრდილოეთ კორეულ საზოგადოებაში წარმოუდგენელია, რომ ქვეყნის ლიდერმა მგზავრობის დროს საზოგადოებრივი ტუალეტით ისარგებლოს, – განაცხადა ანონიმურმა წყარომ.

გერმანელმა თავი ჰიტლერის ნათესავად გამოაცხადა

გერმანიის ქალაქ გერლიცის მცხოვრებმა განაცხადა, რომ ის ადოლფ ჰიტლერის ნათესავია. ამის დასამტკიცებლად მამაკაცმა, რომელსაც რომანო ლუკას ჰიტლერი ჰქვია, ჟურნალისტებს წარუდგინა საკუთარი საბუთი დიქტატორის გვარით, კერძოდ, მანქანის მართვის მოწმობა და სახლის იჯარის ხელშეკრულება.

65 წლის გერმანელმა განაცხადა, რომ ფიურერის მამას ალოის ჰიტლერს ჰყავდა უმცროსი ძმა, რომლის შვილიშვილი რომანოს მამა იყო. ფიურერის სავარაუდო ნათესავის მშობლები, მისი თქმით, აღმოსავლეთ გერმანიაში გაიქცნენ, შემდეგ სლოვაკეთში დასახლდნენ და ბრატისლავაში გარდაიცვალნენ. მოგვიანებით პატარა რომანო ჰიტლერი მონასტერში მიაბარეს, რის შემდეგაც ის პოლონურმა ოჯახმა აიყვანა. გერმანიაში ის უკვე ზრდასრულ ასაკში დაბრუნდა.

ჰიტლერის თქმით, ის თავისი შორეული ნათესავისგან განსხვავებით კარგი და უბრალო ადამიანია. მან ასევე აღნიშნა, რომ როდესაც ადამიანები მის გვარს იგებენ ან იცინიან, ან იგინებიან. ამის გამო მას სამსახურის შოვნა უჭირდა. რომანო ასევე აცხადებს, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ გერმანიაში ჰიტლერის გვარი აღარ იქნება, ვინაიდან ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელია.

ერთ-ერთი გერმანული გამოცემის ინფორმაციით, რომანოს განცხადებები ისტორიულ ფაქტებს არ შეესაბამება: ჰიტლერის მამას ძმა არ ჰყოლია. გამოცემა არ ადასტურებს, ჩატარდება თუ არა რაიმე სახის გამოკვლევა რომანოსა და ადოლფ ჰიტლერის ნათესაობის დასადგენად.

სამართალი

შსს-მ ნარკოტიკული საშუალებები და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ამოიღო

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად 1971 წელს დაბადებული ლაშა კ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 20,60612 გრ ჰეროინის შემცველი ნივთიერება, მეტადონის 11 აბი და 0,2224 გრ ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს შეიცავს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს).

შსს-მ ქურდობების ბრალდებით ოთხი პირი დააკავა

„ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ უწყების კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული შაჰინ ბ, 1992 წელს დაბადებული სირხან ა, 1994 წელს დაბადებული ნურბაბა ხ, და 1995 წელს დაბადებული თაჯირ ჯ. ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სირხან ა-მ, ნურბაბა ხ-მ, და თაჯირ ჯ-მ საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში, „ლიბერთი ბანკის“ სერვის ცენტრში ღამით ფანჯრიდან ფარულად შეაღწიეს, სეიფი, პლასტიკური აგრობარათები მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიმალნენ. ასევე დადგინდა, რომ ოთხივე ბრალდებულმა, საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში, 17 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ფერმიდან მოიპარეს.

– სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებულები დანაშაულების ჩადენიდან რამდენიმე დღეში საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოსა და სოფელ ლამბალოში დააკავეს.

მოპარული სეიფი სოფელ ლამბალოში წყლის არხიდან, ხოლო ნურბაბა ხ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას საბანკო პლასტიკური აგრობარათები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ასევე სირხან ა-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებულია არარეგისტრირებული, ორლულიანი გადაჭრილი სანადირო თოფი და 8 საბრძოლო ვაზნა, ხოლო შაჰინ ბ-ს პირადი ჩხრეკისას – არარეგისტრირებული პისტოლეტი ერთი მჭიდით და 7 საბრძოლო ვაზნით.

სამართალდამცველებმა გაყიდულ 5 სულ პირუტყვს სოფელ ლამბალოში მიაკვლიეს და პატრონებს დაუბრუნეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულებს, – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, სირხან ა-ს მიმართ გამოძიება ასევე მიმდინარეობს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, ხოლო შაჰინ ბ-ს მიმართ – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით); თაჯირ ჯ-ს მიმართ გამოძიება – ერთ ეპიზოდში დანაშაულის დაფარვის ფაქტზე, ხოლო მეორე ეპიზოდში კი ქურდობის ჩადენაში დახმარებისათვის მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 375-ე და სსკ-ის 24-177-ე მუხლებით).

ინტერპრესნიუსი

კულტურა

ქართველი მსახიობები მოდელები გახდნენ

თბილისმა მერსედეს ბენცის თბილისის მოდის კვირეულს უმასპინძლა. მოდელებთან ერთად, პოდიუმზე ცნობილი მსახიობები და მომღერლები გამოვიდნენ. ელენე მახარაშვილის, მანიკა ასათიანის, ლიკა რიგვავას, მარიტა ჯანაშიას, ნუკა ყარალაშვილის გვერდით, კვირეულში მონაწილე დიზაინერების კოლექციები ნინი ბადურაშვილმა, ნანკა კალატოზიშვილმა და ქეთათომაც წარმოადგინეს.

წლევანდელი მერსედეს ბენცის თბილისის მოდის კვირეული ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა.

მოსკოვის, ბერლინის, მილანის, ლონდონის, ნიუ-იორკის და სტამბოლის შემდეგ, მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღონისძიებას თბილისმაც უმასპინძლა.

სპეციალურად ამ კვირეულისთვის თბილისში მსოფლიო მოდის წამყვანი სპეციალისტები ჩამოვიდნენ.

მერსედეს ბენცის თბილისის მოდის კვირეული მსოფლიოს წამყვანმა ტელევიზიებმა და მედია საშუალებებმა გააშუქეს. ღონისძიებაში 21-მა დიზაინერმა მიიღო მონაწილეობა.

ჩვენებებს საქართველოში სპეციალურად ჩამოსული სხვადასხვა ქვეყნის დიზაინერები და ბლოგერები საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ.

ეკა ირემაშვილი

სპორტი

სამბო: ჩიდრაშვილი და ლორიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ

მაროკოს ქალაქ კასაბალანკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე სამბოში, ქართველმა სამბისტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს და 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მსოფლიოს ჩემპიონები 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ვახტანგ ჩიდრაშვილი და 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე დავით ლორიაშვილი გახდნენ, ვერცხლის მედლებს ქალთა ნაკრების წევრები ნინო ოძელაშვილი (68 კგ) და ელენე ქებაძე (მძიმე) დაეუფლნენ, ბრინჯაოს პრიზიორები კი ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ), ბესარიონ ბერულავა (74 კგ), ბექა ბერძენიშვილი (მძიმე), შორენა შარაძე (60 კგ), ირინე ლეონიძე (80 კგ) გახდნენ.

ოქროს მედლისათვის ორთაბრძოლებში ვახტანგ ჩიდრაშვილმა ტაჯიკეთის წარმომადგენელი აკმალიდინ კარიმოვი დაამარცხა, დავით ლორიაშვილმა კი რუსეთის წარმომადგენელ დმიტრი ელისეევს სძლია, ფინალში რუსი მოწინააღმდეგები ჰყავდათ ნინო ოძელაშვილსა და ელენე ქებაძეს. ოძელაშვილმა შეხვედრა ოლგა ზახარცოვასთან დათმო, ქებაძემ კი ანა ბალაშოვასთან.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ ჩიდრაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონობა ზედიზედ მესამედ მოიპოვა, 2015 წელს კი მან ისევე, როგორც დავით ლორიაშვილმა, ევროპის ჩემპიონატზე წარმატებაც შეძლო და დუბლი შეასრულა. საქართველოს ნაკრებმა კაცთა შორის გუნდური მე-2 ადგილი დაიკავა, პირველი ადგილი რუსეთის ნაკრებმა მოიპოვა, მესამე კი ბელარუსმა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მთავარ მწვრთნელ ჯონდო მუზაშვილის მიერ მომზადებული გუნდი სულ 13 სპორტსმენით წარდგა.

მ. ჯ.

ასტროპროგნოზი

17 ნოემბრისათვის

ვერძი – კოლეგებთან პრობლემები იჩენს თავს. ძალზე დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **კურო** – ნუ იქნებით ზედმეტად ემოციური. თქვენთვის დამახასიათებელი პირდაპირობის გამო, შესაძლოა, გარშემომყოფებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. **ტყუპები** – სამუშაო თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **კირჩხიბი** – საზოგადოებრივ საქმიანობაში თქვენს წვლილს შეიტანთ. ერიდეთ მატყუარა ადამიანებს. ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ. **ლომი** – პროვოკაციული დღეა. იფიქრეთ საკუთარ შეცდომებზე, გააანალიზეთ ისინი და გამოასწორეთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. **სასწორი** – ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი მოგიწევთ. იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – წარმატებული დღეა. იღბალი თან გდევთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მშვილდოსანი** – შესაძლოა, ახლო ნათესავმა გაწყენინოთ. შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. **თხის რქა** – შეუპოვრობა და პრინციპულობა გაამართლებს. მზად იყავით პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებისათვის. შესანიშნავი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. **მერწყული** – წვრილმან პრობლემებს ნუ შეუშინდებით. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ გარემოს შეიცვლით, მოინახულებთ მეგობრებს. **თევზები** – დროს ნუ დაკარგავთ. საკუთარ თავზე იმუშავეთ. ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. ეს დღე გამოირჩევა როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 2. სამხედრო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 3. ანგრული თხის მატყლი; 4. ჰოლანდიური ყველი; 5. მთავარი გაზეთი კუბაში; 11. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, მონოლოგი; 12. შტატი აშშ-ში; 14. მოთელილი მატყლისგან დამზადებული სქელი ქსოვილი; 16. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 17. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კვიპროსის დედაქალაქი; 21. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 22. იამაიკელი სპრინტერი მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი.

თარაზულად: 6. მდინარე აშშ-ში; 7. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 8. პირველი გერმანული ოპერა; 9. სომხური ცეკვა; 10. რეგულარული შემოსავალი უძრავი ქონებიდან; 13. ძველებური კაჟიანი თოფი; 15. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ქართველი მოჭიდავე; 18. ფრანგი მოდელიორი; 20. უბანი თბილისში; 21. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 23. საფრანგეთის ჰიმნი; 24. სამურაების მეთაური.

შეადგინა თ.ბოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

სკანვორდის პასუხები:

1. ალი; 2. მაგელანი; 3. მარტი; 4. ხალტურა; 5. პატრიოტი; 6. მისური; 7. გესტაპო; 8. აპოხტი; 9. რეალია; 10. კაა; 11. ლამარია; 12. ნოვატორი; 13. პაიკი; 14. ახო; 15. ურო; 16. ნავთი; 17. სამბა; 18. პიიო; 19. იიპე; 20. ტარტუ; 21. კალაპოტი; 22. ვონა; 23. კოტრი; 24. კანოე; 25. მერია; 26. მერიმე; 27. სამორინე; 28. რემიზი; 29. არზამასი; 30. მერაბ; 31. ნასა; 32. არფა; 33. ია; 34. ომარი.

სურათებზე: მენდი მური; ალმეიდა.

ქართველი მოაზროვნეები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ

თბილისში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატი ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო 24 ქვეყნის 59-მა გუნდმა.

– ეს იყო ყველაზე წარმომადგენლობითი და მასშტაბური ღონისძიება მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. აქამდე ჩატარებულ ფორუმებზე ჯერ არასოდეს ჩასულა ამდენი ქვეყნის გუნდი. საქართველო პირველად მასპინძლობდა ასეთი დონის ინტელექტუალურ მოვლენას და ყველაფერმა უმაღლეს დონეზე ჩაიარა, – განაცხადა გიორგი მოსიძემ.

მსოფლიო ჩემპიონატის თილისმის, ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი „მოაზროვნე ბუს“ ავტორი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ია მეტრეველი იყო.

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი 2002 წელს ბაქოში გაიმართა და მას შემდეგ აზერბაიჯანის, რუსეთის, ისრაელის, უკრაინისა და თურქეთის ქალაქები მასპინძლობდნენ.

2012 წლის შემოდგომაზე „რა? სად? როდის?“ კლუბების საერთაშორისო ასოციაციამ მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება საქართველოს დედაქალაქს მიანიჭა.

საქართველოს ღირსებას ოთხი გუნდი იცავდა დავით რაფავას, ბესიკ ბუთურიშვილის, დავით სიჭინავასა და ალექსანდრე თარხან-მოურავის ექვსეულები. რაფავას ექვსეული უკვე ორჯერ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 2012 და 2014 წლებში, თუმცა პრიზიორებში მოხვედრა დღემდე რჩება ქართველი მოაზროვნეების ძირითად მიზნად.

ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ გარდა, ღონისძიების პროგრამაში აღმოჩნდა გახსნითი ტურნირი „მზის და ვარდების მხარეო“, სადაც შეკითხვების თემატიკა საქართველო და თბილისი იყო, ამიტომ მასში მხოლოდ უცხოელმა მოაზროვნეებმა მიიღეს მონაწილეობა.

პროფესიონალთა თამაშების პარალელურად, თამაშის „რა? სად? როდის?“ მოყვარულთა მესამე მსოფლიო ჩემპიონატიც გაიმართა და მასში მონაწილეობა ყველა მსურველს თავისუფლად შეეძლო. მთლიანობაში თბილისს 1000-ზე მეტი მოაზროვნე და თამაშის მოყვარული ეწვია.

ქართველმა მოაზროვნეებმა ფინალში გადასვლა მოახერხეს და საუკეთესო ათეულში დავით რაფავას გუნდით დამკვიდრდნენ.

– მონაწილეთა ასეთი მონსტრული შემადგენლობის პირობებში ათეულში გასვლა უმაგრესი შედეგია!

დავით რაფავა, ია მეტრეველი, ლევან ჩხეიძე, სერგო თევდორაძე, ნიკოლოზ აგლაძე, გიორგი ბაქრაძე, თქვენ ხართ მხეცები და ნადირები, – ასე მიულოცა გიორგი მოსიძემ ქართველ მოაზროვნეებს წარმატება.

სამივე საპრიზო ადგილზე გავიდნენ რუსეთის გუნდები სერგეი ნიკოლენკოს, ალექსეი ბოგოსლოვსკის და მიხეილ სავჩენკოვის ხელმძღვანელობით.

ფინალში გავიდა 18 გუნდი რუსეთიდან, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ბელორუსიდან, ისრაელიდან, ლატვიიდან, მოლდოვადან, აშშ-დან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან და ფინეთიდან.

საბავშვო ევროვიზიის გახსნა გადაიდო

საფრანგეთში განხორციელებული ტერორისტული აქტების დროს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ბულგარეთის ქალაქ სოფიაში დაგეგმილი წლევანდელი საბავშვო ევროვიზიის გრანდიოზული გახსნა გადაიდო.

როგორც ბულგარეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს, მათ ეთერში არანაირი გასართობი გადაცემა არ გადის და ისინიც ფრანგების მსგავსად გლოვობენ დაღუპულებს.

კონკურსის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გლოვის დღეების დასრულების შემდეგ გაიმართება. წლევანდელი კონკურსანტები უკვე ბულგარეთში იმყოფებიან და აქტიურ რეპეტიციებს გადიან. ქართველმა მომღერლებმა პირველი რეპეტიცია უკვე გაიარეს.

საქართველოს წელს საბავშვო ევროვიზიაზე კვარტეტი წარადგენს. მასში ლიზი თავბერიძე, ელენე კეჯრიშვილი, თაკო გაგნიძე და დათა პავლიაშვილი გაერთიანდნენ. კვარტეტს „ვირუსი“ ეწოდება.

ვირუსი, რომელიც ყველას შეგეყრებათ! – ასეთია კვარტეტის მოწოდება. საკონკურსო სიმღერა პატარა მომღერლებმა გიგა კუხიანიძესთან ერთად დაწერეს და მას „გაბედე“ დაარქვეს.

ტექსტი სიმღერისთვის ერეკლე დეისაძემ დაწერა, არანჟირებაზე ბორიკო შხიანმა იმუშავა, კლიპი გიგა კუხიანიძემ და რამაზ გუნავამ გადაიღეს, ბავშვების იმიჯზე კი დიზაინერმა მარიკა ქურდუბაძემ იზრუნა.

წლევანდელ საბავშვო ევროვიზიას სერბეთის კონკურსანტი გახსნის და მონტენეგროს კონკურსანტი დახურავს.

ფინალური გალა კონცერტი ბულგარეთში 21 ნოემბერს გაიმართება და მისი პირდაპირ ტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი განახორციელებს. ტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანი თუთა ჩხეიძე გაუძღვება.

ანრი ჯოხაძე „იქს ფაქტორის“ პრიზით უკმაყოფილოა

მომღერალი ანრი ჯოხაძე „იქს ფაქტორში“ სპონსორებისგან დაწესებული პრიზით უკმაყოფილოა. „იქს ფაქტორის“ მეორე სეზონში პროექტის პროდიუსერებმა ანრი მწვრთნელად მიიწვიეს.

მან და მისმა კონკურსანტმა მარი ჯანჯღავამ ფინალამდე მისვლა მოახერხეს და როგორც გამარჯვებულს, მარის ნოემბრის თვეში მადონას კონცერტზე დასასწრები ბილეთები აჩუქეს.

მარიმ, თავის მხრივ, კონცერტზე ანრის წაყვანა გადაწყვიტა.

ანრი ჯოხაძე თავისი კონკურსანტისთვის გადაცემული პრიზით უკმაყოფილო დარჩა და როგორც ახასიათებს ხოლმე, ეს ხმამაღლა გამოთქვა:

– დავინდობ იმ კომპანიას, რომელმაც ეს საგზური დიდი ზარ-ზეიმით გადასცა ჯანჯღლის და არაფერს ვიტყვი სასტუმროს სამარცხვინო პირობებზე და კონცერტის ბილეთზე, რომელიც ისეთ ადგილას აღმოჩნდა, სჯობდა არ ეყიდათ, ისედაც თავიდან მოგვიწია ყიდვა. ახლა გამოიტანეთ დასკვნა, ძველი დიდების ხარჯზე გამოვიდა ბღლარძუნი თუ საკუთარ ხარჯზე.

ეკა აფშილავა გათხოვდა

„კომედი შოუს“ მსახიობი ეკა აფშილავა გათხოვდა. მისი რჩეული დიზაინერი ბაჩო კაპანაძეა. ქორწილის ამსახველი ფოტოები ინტერნეტში უკვე გავრცელდა.

წყვილმა გაბედნიერება მეგობრების უახლოეს წრეში აღნიშნა. ქორწილი კვირას გაიმართა, რომელსაც მსახიობები, მომღერლები, მოდელები ესწრებოდნენ.

პატარძალს სადა თეთრი კაბა ეცვა და მეგობრებთან ერთად პოზირებდა. ეკას და ბაჩოს გაბედნიერება „კომედი შოუს“ მსახიობებმაც მიულოცეს.

ეკა აფშილავა პროფესიით მსახიობია, ის თეატრშიც იყო დაკავებული, თუმცა „კომედი შოუში“ მისვლის შემდეგ, ორივეგან მუშაობა ვეღარ შეძლო და არჩევანი „კომედი შოუს“ სასარგებლოდ გააკეთა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკა სპექტაკლებში არ მონაწილეობს, არასდროს ამბობს უარს ფილმებში გადაღებებზე. მაყურებელმა მისი მონაწილეობით რამდენიმე ფილმი უკვე იხილა.

ეკას და ბაჩოს გაბედნიერება უამრავმა ადამიანმა მიულოცა. ახლად შეუღლებულმა წყვილმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

ვანში კარლო საკანდელიძის სახელობის თეატრი გაიხსნება

ვანში კარლო საკანდელიძის სახელობის თეატრი გაიხსნება. იდეის ავტორი და ინიციატორი რუსთაველის თეატრის მსახიობი ედმონდ აბაშიძე-მინაშვილია. როგორც მსახიობი აცხადებს, მას ეს იდეა მას შემდეგ მოუვიდა, რაც კარლო საკანდელიძეს რუსთაველის თეატრში მუშაობისას დაუახლოვდა.

ვანის კულტურის სახლს 17 ნოემბრიდან კარლო საკანდელიძის სახელი მიენიჭება. სპეციალურად ამ დღისთვის ვანში ჩავა მსახიობის მშობლიური რუსთაველის თეატრი და რეპერტუარში არსებულ ერთ-ერთ გამორჩეულ სპექტაკლს „მოხუც ჯამბაზებს“ ითამაშებს.

გოჩა კაპანაძის ამ სპექტაკლში მონაწილეობა თავად კარლო საკანდელიძესაც უნდა მიეღო. შემოქმედებითი ჯგუფი დიდხანს უცდიდა მას, რომ უკეთესად გახდებოდა და სპექტაკლში თამაშს შეძლებდა, თუმცა მსახიობი გარდაიცვალა.

კარლო საკანდელიძის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ, ვანში მისივე სახელობის თეატრის გახსნასთან ერთად, მისი სახლ-მუზეუმიც გაიხსნება.

მსახიობმა თავის დროზე იქ არსებული სახლ-კარი გაყიდა, თუმცა ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკებები ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან გამოსყიდვასთან დაკავშირებით და ახალ წლამდე ვანელებს კარლო საკანდელიძის სახლ-მუზეუმიც ექნებათ.

ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი:

– იდეა დიდი ხანია გამიჩნდა, მაგრამ მისი განხორციელება აქამდე ვერ შევძელი. როცა რუსთაველის თეატრში მივედი, ბატონი კარლო ჯერ კიდევ თეატრში იყო და ორი წლის განმავლობაში მოგვიწია ერთად მუშაობა. რომ გაიგო, მეც ვანიდან ვიყავი, ძალიან გაუხარდა.

თავის კოლეგებს სულ ეუბნებოდა, ერთ ვანელს ვტოვებ, ისე არ მივდივარ ამ თეატრიდანო.

თავის დროზე მან გაყიდა სახლ-კარი ვანში და ამას მერე მთელი ცხოვრება ნანობდა. სულ მიყვებოდა თავის ბავშვობაზე, საუკეთესო წლებზე. რომ გარდაიცვალა, ხშირად მახსენდებოდა მისი მონაყოლი, მისი დიდი სევდა და გამიჩნდა იდეა, გაგვეხსნა ვანში მისი სახლ-მუზეუმი.

ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკებები, ახალ წლამდე გამოვისყიდით ბატონი კარლოს სახლს და იქ გავხსნით მუზეუმს. ამის პირობა დავდე და აუცილებლად შევასრულებ.

სიმბოლურია ისიც, რომ 17 ნოემბერს გალაკტიონობაა, სახალხო დღესასწაულები დაიწყება ჭყვიშში და გაგრძელდება ვანის სახალხო თეატრში, რომელსაც კარლო საკანდელიძის სახელი მიენიჭება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

TV პროგრამა

სამშაბათი 17 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **13.55 ფეხბურთი**. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი: **საქართველო – შვედეთი 16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**სად ხარ?!**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** მხ/ფ "**მოკრივე**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ღამე მაკულას ბარში**" (ლ.ტაილერი)

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "კოდის კონცხი" **13.00** დოკ/ფ "აashენე უფრო დიდი" **14.00,16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ."**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** VOICE-საქართველო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**სხვისი ქორწილი**" **02.55** მხ/ფ "**ბაზა**" (ჯ.ტრავოლტა)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი? დაიჯესტი

06.10 სპექტაკლი "რკინის ბიჭები" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-მაზიარებელ ადამიანს ბოროტისაგან უფალი იცავს **10.40** საქართველოს ქალაქები-მარტვილი **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ "**ფესვები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კატესტემონია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საუკუნის პორტრეტები-"ეროსი მანჯგალაძე" **16.30** მგზავრები წუთისოფლისა "ახალქ. და კუმურ. ეპარქია სოფ. ხოსპიო" **17.10** მოკ. მხ/ფ "**ბურთი და მოედანი**" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-ელესა **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "ნადირთა ძმობა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ჟუჯი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05 სერიალი "ტატიანა" 17.05 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" **20.45 სერიალი "ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ფერფლი" 1.30 სერიალი "ტატიანა" 2.15 სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4018	ევრო — 2.5879
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6577	100 რუსული რუბლი — 3.6095

ამინდის პროგნოზი 17 ნოემბრისთვის

კალეიდოსკოპი
სამი კატა სამიტზე

თურქეთში, ანტალიაში მიმდინარე დიდი ოცეულის სამიტზე, ოფიციალურ ღონისძიებებს შორის, შესვენების დროს, სცენაზე სამმა კატამ შეაღწია. რამაც ერთგვარი მხიარულებაც კი გამოიწვია იქ აკრედიტებულ ჟურნალისტებს შორის და ერთერთმა იხუმრა კიდეც, რომ ამ სამეულმა მსოფლიოს ორი უძლიერესი ქვეყნის თეთრი სახლის მეთაური ბარაკ ობამა და რუსეთის ლიდერი ვლადიმერ პუტინი მეორე პლანზე გადაწია.

სამიტზე დამსწრე რეპორტიორებმა ცხოველები, რომლებიც რიგრიგობით გამოვიდნენ კულისებიდან სცენაზე, კადრებზე აღბეჭდეს. ორმა კატამ სცენაზე მცირე ხანს დაჰყო, ყვავილები დასუნეს და შემდეგ გაიქცნენ, რამდენიმე წამის შემდეგ მათ მესამე კატაც უკან მიჰყვა. ღონისძიების თანამშრომლებსა და დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს ცხოველების განდევნა არც კი უცდიათ.

მომხდარს დიდი რეზონანსი მოჰყვა სოციალურ ქსელებში.

– ეს საიდუმლო სამსახურის კატებია და ისინი ნანოკამერებით არიან აღჭურვილები, – ხუმრობით დაწერა ტვიტერში ერთერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– რა სამწუხაროა, რომ სამიტი კატსტანტინოპოლში არ იმართება, – დაწერა მეორემ.

„ვარსკვლავურ ომებზე“ შეშლილი ფოსტალიონი

ბრიტანეთის ქალაქ საუთჰემპტონის მცხოვრებმა ფოსტალიონმა დეივ ოლდბერიმ 228 ათას დოლარზე მეტი თანხა დახარჯა იმ ნივთების კოლექციაზე, რომლებიც „ვარსკვლავური ომების“ ფილმების სერიალს უკავშირდება.

ინგლისელ ფოსტალიონს ფანტასტიკური საგის მონაწილე მსახიობებისა და გადამღები ჯგუფის წევრების ცხრა ათასზე მეტი ავტოგრაფი აქვს. გარდა ამისა, მან საკუთარ სახლში შეაგროვა სათამაშოები, წიგნები, პლაკატები და სუვენირები, რომლებსაც, ასე თუ ისე, რაიმე სახის კავშირი აქვთ „ვარსკვლავურ ომებთან“.

თავად ოლდბერის სხეულზე გაკეთებული აქვს სვირინგი დარტ ვეიდერისა და ობი-ვან კენობის გამოსახულებით.

ოლდბერის თქმით, ის „ვარსკვლავური ომების“ ფანი სკოლაში სწავლის დროს გახდა, როდესაც 1977 წელს სერიალის პირველი ფილმი ნახა. მას შემდეგ ის ამ ფილმთან დაკავშირებულ სუვენირებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აგროვებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

20 წლის ქართველი ფეხბურთელი მოკლეს

15 ნოემბერს, დილის 5 საათზე, საფეხბურთო კლუბ ხელვაჩაურის მაჭახელას 20 წლის ფეხბურთელი თენგო ფერცელიძე მოკლეს.

გარდაცვლილის ახლობლების თქმით, დაპირისპირება ახალგაზრდებს შორის დაბადების დღეზე დაიწყო და მოგვიანებით უკვე ურთიერთშელაპარაკება ქუჩაში გაგრძელდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, თბილისში, კანდელაკის და ტაშკენტის ქუჩების კვეთაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ფერცელიძეს ცივი იარაღით გულმკერდის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თენგო ფერცელიძე თბილისში დაიბადა და 124-ე სკოლა დაამთავრა. მან ბავშვობაშივე გადაწყვიტა, ფეხბურთელი გამოსულიყო, თუმცა კარიერა თბილისურ გუნდში არ დაუწყია. თენგოს პირველი გუნდი გაგრა იყო, ამჟამად კი ის ხელვაჩაურის მაჭახელაში თამაშობდა.

აღსანიშნავია, რომ სიკვდილამდე ერთი დღით ადრე ფერცელიძემ თავისი გუნდის შეხვედრაში 90-ე წუთზე გოლი გაიტანა და მაჭახელას გამარჯვება მოუტანა.

იხეილ ჟორჟოლიანი

ლევანდოვსკის რეალში თამაში სურს

ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირია ხმები იმის შესახებ, რომ მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთი ლიდერი რობერტ ლევანდოვსკი სეზონის ბოლოს მადრიდის რეალს შეუერთდება.

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ლევანდოვსკიმ გვარდიოლას რეალში გაშვება სთხოვა, თუმცა ეს შეიძლება ჭორიც იყოს.

სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ რეალი 80 მილიონი ევროს გადახდას აპირებს ლევანდოვსკიში, რაც ბაიერნის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი იქნება.

ჯერ კიდევ დორტმუნდის ბორუსიის შემადგენლობაში ლევანდოვსკიმ რეალის კარში პოკერის შესრულება შეძლო, თან ეს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გააკეთა. შესაძლოა, სწორედ მას შემდეგ დაინტერესდა სამეფო გუნდი ლევანდოვსკის შეძენით.

ბენზემამ დანაშაული ნაწილობრივ აღიარა

მადრიდის რეალის ფრანგი ფორვარდის ქარიმ ბენზემას დაკავებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ბენზემას მატიო ვალბუენას შანტაჟი და ფულის გამოძალვის მცდელობა ედება ბრალად.

რამდენიმე დღის წინ ბენზემამ აღიარებითი მისცა და განაცხადა, რომ ის ამ საქმეში შუამავლის როლს ასრულებდა.

საქმე ისაა, რომ ვალბუენას ბენზემას მეგობარი ქარიმ ზენატი აშანტაჟებდა, ბენზემას კი მათი კავშირი უნდა უზრუნველეყო.

ფრანგი ფეხბურთელის თქმით, მას სხვა არაფერი გაუკეთებია ამ საქმეში.

– დამწუხრებული ვარ, რადგან მე და ზენატი ახლო მეგობრები ვართ და მე მასზე ყოველთვის ვზრუნავდი. ამ ყველაფერში მე მხოლოდ შუამავლის როლი მქონდა, მეტი არაფერი. სიმართლე გითხრათ, შოკში ვარ იმის გამო, რაც ჩემს თავს ხდება, – თქვა ფრანგმა ფეხბურთელმა.

აქვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მადრიდის რეალი ბენზემას გაშვებას აპირებს და უკვე ეძებს მის შემცვლელს.

ბარსელონამ ლავესის ტრანსფერი თითქმის შეათანხმა



ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბარსელონა და პსჟ თითქმის შეთანხმდნენ არგენტინელი ფორვარდის ესეკიელ ლავესის ტრანსფერზე.

ამ შეთანხმების მიხედვით, ლავესი ბარსელონაში იანვარში გადავა, ბარსელონას მიერ ტრანსფერში გადახდილი თანხა კი 5 მილიონი ევრო იქნება. ლავესი 30 წლის არის და ევროპის ბევრ გუნდში აქვს ნათამაშევი. ბოლო პერიოდში არგენტინელი ძირითადად პსჟ-ს სათადარიგო სკამზე იჯდა, რის გამოც მან გადაწყვიტა პარიზული გუნდის დატოვება.

ლავესის ტრანსფერს ბარსელონაში ლუის ენრიკეს თანხმობაღა აკლია.

ბ.ქ.

იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ნეტავ როგორი დაავადებაა სკლეროზი?

– კარგი დაავადება უნდა იყოს.

– რატომ?

– არაფერი გტკივა და ყოველდღე სიახლეებია.

●●●

ქალი ქალს ეკითხება:

– ტოროლა ხარ თუ ბუ?

– ჩემი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, გამოუძინებელი ზომბი...

●●●

ლექტორი ლექციას ატარებს. ამ დროს ერთ-ერთი სტუდენტი ეუბნება:

– აუ, ცოტა ნელა ილაპარაკეთ, რა!

– ჩაწერას ვერ ასწრებ?

– არა, ფეხებზე დაკიდებას!

●●●

ახალგაზრდა ქალი დაქალს ეუბნება:

– ჩემი ბერმუდის სამკუთხედია: ლოგინი, სამზარეულო, კომპიუტერი.

●●●

ერთი ახალგაზრდა ლამაზი გოგოს შებმას დააპირებს. მეგობარი ეუბნება:

– შენ რა, გაგიჟდი?

– რატომ?

– მას ხომ შეყვარებული ჰყავს!

– მერე რა! ფეხბურთშიც არის მეკარე, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გოლს ვერ გაიტან...

●●●

სახლში მარტო დარჩენილი ქალი ინტერნეტში წერს:

– სულაც არ ვაპირებ, სტატუსად დავდო, რომ ჩემი ქმარი ერთი კვირით მივლინებაშია წასული და სახლში მარტო ვარ, თორემ, ხომ შეიძლება, რომელიმე სპორტული აღნაგობის სიმპათიური მამაკაცი მომადგეს ჩუმათელეთის ქუჩის 315 ნომერში (პირველი სადარბაზო. მე-5 სართული, ლიფტიდან მარცხნივ), არადა, კარიც რომ ღია მაქვს...

●●●

დედა ქალიშვილს არიგებს:

– ცხოვრებაში მთავარია, იპოვო ადამიანი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ნერვებს მოუშლი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბიჭოლა პარიზის ტერაქტს „ემსხვერპლა“



ქართველი დიზაინერი ბიჭოლა უკვე წლებია უკრაინაში ცხოვრობს. მან თავისი კარიერა საკმაოდ ორიგინალური კოლექციით დაიწყო, როცა ბალიშებისგან შექმნილი სამოსი გასაყიდად გამოიტანა.

სულ მალე ბიჭოლა და ანუკი არეშიძე პარტნიორები გახდნენ და ერთად მოღვაწეობდნენ უკრაინაში. მათ საკუთარი ბრენდიც ჰქონდათ „ანუკი ბიჭოლა“, მაგრამ ამ ტანდემმა დიდხანს ვერ გასტანა და ორივე დიზაინერმა ცალ-ცალკე მუშაობა არჩია. ბიჭოლა უკრაინაში დარჩა, ანუკი კი საქართველოში ჩამოვიდა.

ბიჭოლა თითქმის არასოდეს ახსენდებათ ჟურნალისტებს, თუ რაიმე განსაკუთრებული მოვლენა არ მოხდა მის ცხოვრებაში.

ამჯერად ბიჭოლას სახელი სწრაფად მოედო ინტერნეტსივრცეს და ამის მიზეზი საგანგებო ინფორმაცია გახდა, რომელიც იტყობინებოდა, რომ პარიზის ტრაგედია საქართველოსაც შეეხო და ტერორისტული აქტის დროს გარდაცვლილთა შორის ბიჭოლა თეთრაძის გვამი ამოცნობილია.

რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციის გავრცელებამ ქართველი დიზაინერი ძალიან გააბრაზა და მხოლოდ რამდენიმე ფრაზით შემოიფარგლა:

– თითები გაქვს დასამტვრევი ამ სტატიის ავტორო! ასეთი უბედურება მოხდა და რატომ ავრცელებთ ასეთ ტყუილებს?

ბიჭოლა კვლავ უკრაინაში რჩება და ახალ კოლექციებზე მუშაობს.

ეკა ირემაშვილი

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც სტუმრობის მისაღებად ჰქონდათ დანიშნული ძველად; 2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. აკრობატული ხტომებისთვის განკუთვნილი ზამბარიანი მოწყობილობა; 7. ყურის ანთება; 9. ძაფზე ასხმული სამკაული; 12. ჩქარტემპიანი პოლონური ხალხური ცეკვა; 14. კომბინაცია პრეფერანსში; 15. ერთადგილიანი სწრაფმავალი მოტორიანი სპორტული ნავი; 17. შრი-ლანკას დედაქალაქი; 20. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

თარაზულად: 5. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 6. მხარე გერმანიაში; 8. მაღალხარისხოვანი ფერადი ბროლის დამზადებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი, მეტალი; 10. კათოლიკური ეკლესიის ცენტრი; 11. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 13. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 16. მჭერმეტყველების თეორია; 18. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ღვინის დანალექი; 21. ესპანური ავიაკომპანია; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა